ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 10 დეკემბერი, 2018 №292 (7837) ფასი: 60 თეთრი

ზუგდიდის მე-6 საჯარო სკოლის დირექტორი ია კერზაია გარდაიცვალა

მისი შვილი ბაჩანა შენგელია განათლების მინისტრის დასჯას ითხოვს გვ.2

გახდება თუ არა გახარია პრემიერი?

გვ.4

„ვილაცას ყელში გაეჩხირა ჩვენი კარავი“

გვ.4

რა ხდება ატოცში

გვ.5

მამუკა გამყრელიძე: „ზურაბიშვილის ინაუგურაციაზე ქვების სროლას არ ვაპირებთ“

„ჩვენი მთავარი ამოცანა მთლიანად პროპორციულ სისტემაზე გადასვლაა“

„შესაძლოა, „ოცნებამ“ დათმოს და პროპორციულ სისტემას დათანხმდეს“

გვ.2

ზაალ ანჯაფარიძე: „გაერთიანებულ ოპოზიციაში ბზარი გაჩნდა“



კონსტანტინე გამსახურდია: „მაჟორიტარები ფეოდალებად გადაიქცნენ“

გვ.3

სამართალი გვ.7

ვინ გახდება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

კანდიდატების შერჩევა იწყება

19 წლის ქუთაისელი თბილისის ღამის კლუბში ნარკოინტოქსიკაციას ემსხვერპლა

მინდია გოგოჭურს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

ეკონომიკა გვ.6

კახა კახიშვილი: „ყველას სურვილია, პრეზიდენტის ინაუგურაციისთვის რაც შეიძლება მცირე თანხა დაიხარჯოს“

გიორგი ხიშტოვანი: „ხომ არ ჯობია, დავუტოვოთ მოქალაქეებსა და ბიზნესს მეტი ფული ჯიბეში“

საბურავების ქირაობა — რა ხერხებს მიმართავენ მძღოლები ტექდათვალიერების გასავლელად?

ISSN 1987-9385

5 „პუტინს მეზობელ ქვეყნებზე კონტროლის აღდგენა უნდა“

4 ვინ აპირებს ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო სიიდან ამოღებას

7 ასაფეთქებელი სათამაშოების ბავშვებისთვის მიყიდვა იკრძალება

3 ზაალ კასრელიშვილი: „ოცნება“ ივანიშვილს საბოტაჟს უწყობს, ნაციონალების ნაწილი სააკაშვილს ემიჯნება“

„შესაძლოა, „ოცნებამ“ დათმოს და პროპორციულ სისტემას დათანხმდეს“

ზაალ ანჯაფარიძე: „გაერთიანებულ ოპოზიციაში ბზარი გაჩნდა“

იავო ნაცვლიშვილი

ცნობილია, რომ არჩეული პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაცია დედაქალაქში არ გაიმართება. მმართველი გუნდი ცერემონიალის ჩატარებას თელავში გეგმავს. სავარაუდოდ, გადაწყვეტილებას შეცვლის გაერთიანებული ოპოზიციაც და აქციას თელავში გადაიტანს. პარალელურად პოლიტიკური ძალა არჩევნების შედეგებს არ ცნობს და ზოგიერთი წარმომადგენელი პრეზიდენტად მათ კანდიდატ გრიგოლ ვაშაძეს მოიხსენიებს, რამაც ოპოზიციაში გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

რამდენად რელევანტურია ინაუგურაციის თელავში გამართვის გადაწყვეტილება, ხომ არ ჩანს გარკვეული ბზარი გაერთიანებულ ოპოზიციაში და რამდენად რეალურია, ოპოზიციამ შედეგს მიაღწიოს და საპარლამენტო არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდეს? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** საუბრობს:

– თქვენი აზრით, რამდენად რელევანტური გადაწყვეტილებაა სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაციის თელავში ჩატარება?

– მგონია, რომ გადაწყვეტილება რელევანტური იყო იმ გარემოებებიდან გამომდინარე, რომლებიც შეიქმნა ინაუგურაციის წინ. ეს ერთგვარი იძულებითი გადაწყვეტილებაც იყო, იქიდან გამომდინარე, რომ ოპოზიცია აპირებდა მიტინგის გამართვასა და ინაუგურაციისთვის ხელის შეშლას. წარმოიდგინეთ, როგორი სანახავი იქნებოდა ამდენი საერთაშორისო სტუმრის წინ.

– ამას მოერიდნენ?

– ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო. დედაქალაქში ინაუგურაციის ჩაშლა სერიოზული დარტყმა იქნებოდა სახელმწიფო იმიჯისთვის და თავად მმართველი პარტიის როგორც იმიჯის, ასევე მისი ავტორიტეტისთვისაც.

ეს იქნებოდა იმის ინდიკატორი, რომ ქვეყანაში არ არის სტაბილურობა. გასაგებია, რომ სახელმწიფო გადამეტებულ ძალას ვერ გამოიყენებდა, როგორც ამას წინა ხელისუფლება აკეთებდა. გარდა ამისა, პარლამენტის წინ შვილმოკლული მშობლების კარვებია და ისინი, დიდი ალბათობით, ამ კარვებს არ აიღებდნენ. ყველა ამ ფაქტორმა განაპირობა ინაუგურაციის ადგილის გადატანა.

ის, რომ თელავი იმიტომ შეირჩა, რომ ამ ქალაქმა ხმა არ მისცა სალომე ზურაბიშვილს და ამით უნდოდათ, კეთილი ნების ჟესტი გამოევლინათ ამ ქალაქის ამომრჩევლის მიმართ, ეს უფრო პიარულს ჰგავს, ვიდრე რეალური სიტუაციის ასახვას.

– ოპოზიცია ამბობს, რომ არ აპირებს ინაუგურაციის ჩაშლას. ეს დამაჯერებელი არ გგონიათ?

– ოპოზიციისგან ვერ მოვისმინე მკაფიო განცხადებები, რომ ისინი არ აპირებენ ჩაშლას, ერთ დღეს ერთს აცხადებენ, მეორე დღეს – მეორეს. მათი განცხადებები არათანმიმდევრულია, ამიტომ რთულია მათგან ზუსტი აზრის გამოტანა. ვვარაუდობ, რომ შესაძლოა ოპოზიციაშიც იყვნენ რადიკალური ჯგუფები და ასევე შედარებით ზომიერი ჯგუფები და მათ შორის შეიძლება მიდიოდეს ერთგვარი პოზიციების ჭიდილი, თუ რა სცენარი აირჩიონ – ძალადობრივი სცენარი თუ ზომიერი პროტესტი.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ გაერთიანებულ ოპოზიციაში გარკვეული ბზარი შეინიშნება? 2016 წელს აქციების საკითხი გახდა ნაცმოძრაობის გაყოფის საბაბი. ახლაც მოვისმინეთ სალომე სამადაშვილის პოზიცია, რომ, დარღვევების მიუხედავად, ამიტომ დააჩქარა შედეგების აღიარება აშშ-მ და გრიგოლ ვაშაძეს პრეზიდენტი არ უნდა ეძახონ.

– აბსოლუტურად ვეთანხმები ქალბატონი სალომეს პოზიციას, საერთაშორისო თანამეგობრობამ აღიარა სალომე ზურაბიშვილის გამარჯვება, არსებული დარღვევების მიუხედავად. ლეგიტიმურად ცნეს შედეგები, სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტად არის არჩეული და ამ დროს გამოხვიდე და მის კონკურენტს ეძახო პრეზიდენტი, ეს, ცოტა არ იყოს, უხერხულ პოზიციაში აყენებს ნაციონალურ მოძრაობასაც და მთლიანად გაერთიანებულ ოპოზიციას საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში.

მათთვის ეს არის უცნაური და, ცოტა არ იყოს, პოლიტიკური უმწიფრობის დამადასტურებელი, იმიტომ, რომ ასეთი რამე დასავლეთში არ ხდება. იქ, სადაც კანდიდატის გამარჯვება აღიარებულ იქნა, შენ დამარცხებულ კანდიდატს ეძახო პრეზიდენტი. ასეთი რამე უცხოელებს არ ესმით. ამიტომაც სალომე სამადაშვილს, რომელსაც ელჩად აქვს ნამუშევარი, სხვებთან შედარებით უკეთესად ესმის დასავლური მენტალიტეტი და, სავარაუდოდ, ამითაც იყო გამოწვეული მისი ასეთი დემარში, თუ შეიძლება, ამას ასე ვუწოდოთ.

მე ვადევნებ თვალ-ყურს გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლების განცხადებებს და არის ასეთი შთაბეჭდილება, რომ იქ გარკვეული ბზარები გაჩენილია, იქიდან გამომდინარე, რომ ვიღაცა რადიკალურ ზომებს ემხრობა, ვიღაცა ამას მხარს არ უჭერს.

– შესაძლოა, გაერთიანებულმა ოპოზიციამ აქცია თელავში გადაიტანოს.

– ნებისმიერი აქცია, თუკი ის გადაიზრდება ძალადობრივ ქმედებებში, თავისთავად ხიფათს შეიცავს. მაგრამ ერთია აქციის თელავში გამართვა და მეორე – თბილისში. ხელისუფლებას შეუძლია ამ აქციის ლოკალიზება. ორივე შემთხვევაში საფრთხის მატარებელია, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, დედაქალაქში აქციის გამართვა უფრო მეტ საფრთხეს შეიცავდა, იმიტომ რომ, თუ იქ წარმატება იქნებოდა მიღწეული, შესაძლოა, სხვა ქმედებებში გადაზრდილიყო, პარლამენტის შენობის შტურმში და ა.შ. გაჩნია, აქციაზე რამდენი ადამიანი მივა და რამდენად იქნებიან მზად, სადღაც შეცვივდნენ და რადიკალური ქმედებები განახორციელონ. ალბათ ეს ფაქტორიც გაითვალისწინეს, რადგან თელავში არ არის სამთავრობო შენობები და დასაკავებელი არც არაფერია.

– ზურაბიშვილმა შესთავაზა ვაშაძეს, რომ აღიაროს პრეზიდენტად და მზად არის, ინაუგურაციაზე მიიწვიოს. ხომ არ ფიქრობთ, რომ ვაშაძეს უნდა გამოეყენებინა ეს და უფრო მაღალი პოლიტიკური კლასი ეჩვენებინა?

– ვაშაძის მხრიდან ეს გონივრული ნაბიჯი იქნებოდა, მაგრამ გასაგებია, რომ ვაშაძე ამას ვერ გააკეთებდა, რადგან ამ შემთხვევაში ის წავიდოდა პოლიტიკური ძალისა და მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ, რომელიც ამ გაერთიანების ფაქტობრივი ლიდერია.

აღიარებული პოლიტიკური კულტურა იმას მოითხოვს, რომ როდესაც უკვე დამარცხება დადასტურებულია, დამარცხებული კანდიდატი აღიარებს დამარცხებას. ასე ხდება ცივილიზებულ დემოკრატიულ სამყაროში. კანდიდატი არ იწყებს ისეთ გაუგებარ ქმედებებსა და განცხადებებს, რომლებსაც ჩვენ ახლა ვხედავთ. რადგანაც ეს არ გააკეთა, ალბათ თვლის, რომ ეს მისი მხრიდან ერთგვარი სახის დაკარგვა იქნებოდა.

მე ვფიქრობ, რომ მას ადრე თუ გვიან მაინც მოუწევს ამის გაკეთება. სადამდე იქნებიან ასეთ რეჟიმში?! ეს, უბრალოდ, წარმოუდგენელია.

– ოპოზიციის სრული სპექტრი ითხოვს პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლასა და საპარლამენტო არჩევნების ამ სისტემით ჩატარებას. რამდენად რეალურია ამის მიღწევა?

– ოპოზიციას ჰქონდა საშუალება, მიეღო ეს სისტემა და უკვე 2020 წელს ჩატარებულიყო არჩევნები ამ სისტემით. მაშინ მათ უარი თქვეს. რაც შეეხება ახლა ამის მოთხოვნას, შეიძლება, თეორიულად დავუშვათ, რომ ხელისუფლება დათანხმდეს ამ ნაბიჯს იმისათვის, რომ სიტუაცია არ გაამწვავოს. შესაძლებელია, ხელისუფლებამ დაიწყოს დიალოგი მათთან იმაზე, რომ 2020 წელს ჩატარდეს პროპორციული სისტემით არჩევნები.

იცით, კონსტიტუციით გათვალისწინებულია, რომ 2024 წელს ამოქმედდება, მაგრამ მათ შეუძლიათ, დაელაპარაკონ თავიანთ მაჟორიტარებს, რომ ამ ეტაპზე, პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, ასე სჯობს.

მოგეხსენებათ, როდესაც მათ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ 2020 წელს არჩევნები ისევ ძველი სისტემით ჩატარებულიყო, ქვეყანაში სხვა პოლიტიკური რეალობა იყო. ახლა სხვა პოლიტიკური რეალობა და სიტუაციაა, კონფრონტაციის მუხტი უფრო მაღალია. ხელისუფლება ისე თვითდაჯერებული ვეღარ არის, ამიტომაც მე არ გამოვრიცხავ, რომ ამ თემაზე კომპრომისისთვის გარკვეული ფანჯარა მოინახოს.

ზუგდიდის მე-6 საჯარო სკოლის დირექტორი ია კერზაია გარდაიცვალა

მისი შვილი ბაჩანა შენგელია განათლების მინისტრის დასჯას ითხოვს

ზუგდიდის მე-6 საჯარო სკოლის დირექტორი ია კერზაია გარდაიცვალა.

ის ქუთაისის ინტერვენციული მედიცინის ცენტრში რეანიმაციულ განყოფილებაში ინსულტის დიაგნოზით იყო მოთავსებული. ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

ია კერზაიას სალომე ზურაბიშვილის საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას აიძულებდნენ, უარის შემდეგ კი თანამდებობიდან გაათავისუფლეს, რის შედეგადაც მან ინსულტი მიიღო.

პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე ია კერზაიამ საავადმყოფოში მოხვედრამდე „რუსთავი 2“-თან თავად ისაუბრა.

კერზაია ყვებოდა, რომ მას შემდეგ, რაც დირექტორმა პედაგოგების საარჩევნო პროცესში უკანონოდ ჩართვაზე უარი თქვა, ანონიმური წერილის საფუძველზე გენინსპექციამ თბილისიდან ზუგდიდში ორი თანამშრომელი გაგზავნა და მეექვსე სკოლის შემოწმება დაავალა.

შემოწმების დღეს რეგიონს წყალი არ მიეწოდებოდა და სკოლაშიც საპირფარეშოები იყო გაუმართავი. ოფიციალური ინფორმაციით, სწორედ ამ მოტივით უპირებდნენ ზუგდიდის მეექვსე სკოლის დირექტორს პოსტიდან დათხოვნას, პირად საუბარში კი ია კერზაიას აუხსნეს, რომ რეალური მიზეზი სალომე ზურაბიშვილის კამპანიაში ჩართვაზე უარის თქმა იყო.

ია კერზაიას შვილი, ბაჩანა შენგელია, განათლების მინისტრ მიხეილ ბატიაშვილის, ინსპექტირების ჯგუფის ხელმძღვანელისა და წევრების დასჯას ითხოვს.

მისი თქმით, სწორედ მათი მხრიდან განხორციელებული ზეწოლის გამო მოხდა ია კერზაიას ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება. ბაჩანა შენგელია საგამოძიებო უწყებებს რეაგირებისკენ მოუწოდებს და მიმართავს არასამთავრობო სექტორს, დიპლომატიურ უწყებებს, რომ მომხდარით დაინტერესდნენ.

– ვინაიდან სახეზე გვაქვს უკვე დასრულებული დანაშაული მათი მხრიდან, განათლების სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირველი პირიდან დაწყებული რამდენიმე პირის მიერ ჩადენილი დანაშაული, დასრულებული დანაშაული, ეს არის უფლებამოსილების გადამეტება და ადამიანის დისკრიმინაციული ნიშნით დევნა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, რამაც ეს შედეგი მოგვიტანა და აუცილებლად დავაყენებთ მათი პასუხისმგებლობის და მათ მიმართ, ასე ვთქვათ, ბრალის წარდგენის ყველა საფუძველს.

წარვადგენთ ყველანაირ დოკუმენტაციას და მოვითხოვთ, რომ ეს ადამიანები დაისაჯონ უმკაცრესად, ვინაიდან მიიღეს ამ ერთ ორგანიზებულ დანაშაულში მონაწილეობა, – აცხადებს ბაჩანა შენგელია.

განათლების სამინისტროში ზუგდიდის მე-6 სკოლის დირექტორის ოჯახის წევრების ბრალდებებს არ იზიარებენ და აცხადებენ, რომ ია კერზაია პოლიტიკური ნიშნით არ გაუთავისუფლებიათ და სკოლაში გეგმური შემოწმება განაცხადის საფუძველზე დაიწყო.

მინისტრის მოადგილე ირინე აბულაძე აცხადებს, რომ ისინი მზად არიან, ითანამშრომლონ სახალხო დამცველის აპარატთან და ყველა შესაბამის უწყებასთან და მათ საჭირო ინფორმაცია მიაწოდონ.

– ამ შემთხვევაში სამინისტროს დირექტორი არ გაუთავისუფლებია. დასკვნები მომზადდა შესაბამისი წესით და გადაეცა სკოლის სამეურვეო საბჭოს, რომელსაც შემდგომში უნდა ემსჯელა დასკვნაზე და ასეც მოხდა. ძალიან სამწუხაროა, რომ განათლების სისტემისა და სკოლის ჩართვა ხდება ისევ პოლიტიკის საკითხებში, – აცხადებს აბულაძე.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოცნება“ ივანიშვილს საბოტაჟს უწყობს, ნაციონალების ნაწილი სააკაშვილს ემიჯნება“

შორენა მარსაგიშვილი

ზაალ კასრელიშვილი: „მომავალი წლიდან დიდი ცვლილებები დაიწყება“

რატომ აწინაურებენ პორტირებულ ნაცებს, რა ხდება ივანიშვილისა და სააკაშვილის გუნდებში, ვისგან უნდა გაიწმინდოს „ოცნება“? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.

– კვირის ბოლოს არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციაა. ოპოზიცია ხელისუფლებას სიურპრიზებს ჰპირდება. ექსპერტთა ნაწილი სიტუაციის გამწვავებას ვარაუდობს. რა მოხდება?

– სიტუაციის გამწვავებას არ ველოდები. ჩვენი ორგანიზაცია – კავკასიის ხალხთა კონფედერაცია – არც არჩევნების პროცესს თვლიდა გამწვავებულ ვითარებად. სიტუაცია ხელოვნურად იყო დაძაბული. გაერთიანებული ოპოზიციისა და ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველი გულწრფელად მეცოდება.

– რა სჭირთ შესაცოდი?

– საქართველოში არავინ მოუტყუებიათ ისე, როგორც ახლა ეგენი მოატყუეს. ისინი განხიბლული, შეშინებული და იმედგაცრუებული არიან.

სამი თვის განმავლობაში მათ მისცეს ცრუ იმედები, აგრესიულად წააქეზეს და დაარწმუნეს, რომ ამ აგრესიული მენეჯმენტის უკან დასავლეთი იდგა და სახელისუფლებო კანდიდატს აუცილებლად დაამარცხებდნენ.

მიშა სააკაშვილმა ძალიან კარგად იცოდა, რაც მოხდებოდა, მაგრამ თავის მომხრეებს ცრუ იმედებს აძლევდა. მან ისიც კარგად უწყოდა, რომ დასავლეთიდან არც მას და არც გრიგოლ ვაშაძეს არანაირი მხარდაჭერა არ ჰქონდათ. იცოდა, მაგრამ ამ ავანტიურაზე მაინც წავიდა.

– რაში აწყობდა ამ პროცესებში ჩართვა?

– რაში აწყობდა და ქართველი ხალხის გაბითურება მაგისი ცხოვრების წესია. მან ქართველი ხალხის მიამიტობა და გულუბრყვილობა კარგად გამოიყენა და ახლაც ცდილობს, ამ თვისებებზე ითამაშოს.

– ხალხის გულუბრყვილობაზე „ოცნებამაც“ კარგად ითამაშა. ხალხს დაჰპირდნენ, საპრეზიდენტო არჩევნები როგორც კი დასრულდება, გუნდს პორტირებული ნაცებისგან გავწმენდთო. არჩევნები დასრულდა თუ არა, ნაცზონდერები დააწინაურეს.

– ამის შესახებ მე არაფერი მსმენია. დამისახელეთ მაგალითები.

– რა პრობლემაა, რამდენიმე დღის წინ გვარდიის სარდლის მოადგილედ დაინიშნა კობა ახვლედიანი, რომელიც ბაჩო ახალაიას მარჯვენა ხელი იყო.

– ქართველები, როგორც წესი, გულმავიწყი ხალხი ვართ – ლუკმა ყელს რომ ჩაცდება, მერე არაფერი აღარ გვახსოვს.

თავს უფლებას მივცემ და თქვენს მკითხველს ერთ დეტალს შევახსენებ. საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა კაცური სიტყვა მოგვცა, რომ საკადრო პოლიტიკა შეიცვლება. თქვა, რომ 2019 წლიდან საკადრო პოლიტიკა ქვეყნისა და ხალხის სასარგებლოდ იქნება. ასევე დაგვპირდა, რომ სერიოზული ეკონომიკური რეფორმებიც გატარდება.

– 2018 წლიდანვე რომ დაიწყო ცვლილებების განხორციელება, ვინმე დაგმობდა?

– ერთ თვეს, გნებავთ, თვე-ნახევარს რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს. ინაუგურაციაა წინ, მერე ახალი წელი მოდის, როცა არავის არავისთვის არ სცხელა. ახალ წელს შობა მოსდევს, შობას – ძველი ახალი წელი.

საქართველოში საყოველთაო გამოფხიზლება ძველი ახალი წლის მერე იწყება. ცვლილებებიც 14 იანვრის შემდეგ დაიწყება.

– ძველი ახალი წლის მერე ნათლისღებაა, ნათლისღებას ნინოობა მოსდევს. ამ დღეებშიც უყვართ ქართველებს დალევა.

– ქართველს დალევა და ქეიფი სულ უყვარს, მაგრამ განსაკუთრებულად მძიმე ვითარება ამ მხრივ 14 იანვრამდეა. ბიზნესმენებსაც რომ ჰკითხოთ, გეტყვიან, რომ 31 დეკემბრიდან 14 იანვრამდე მკვდარი პერიოდია.

თქვენ ზევით მკითხეთ, თუ რა აზრის ვიყავი ახალაიას მარჯვენა ხელის დაწინაურებაზე. ძალოვან სტრუქტურებში რა ნიშნით ნიშნავენ ადამიანებს თანამდებობებზე, ეს მე არ ვიცი.

სიმართლე გითხრათ, არც ამ კობა ახვლედიანის შესახებ ვიცი რამე და მის შეფასებაში არაკომპეტენტური ვიქნები.

ერთი რამე იცოდეთ, რომ „ოცნების“ წევრებზე მეტად ჩვენ ველოდებით, თუ რა ცვლილებებს განახორციელებს ხელისუფლება. როცა ვამბობ ჩვენ, იმ ადამიანებს ვგულისხმობ, ვინც მეორე ტურში ხელისუფლების მხარდაჭერილ კანდიდატს გაამარჯვებინა.

– ეს კანდიდატი წლების წინ სააკაშვილის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. მის კონკურენტსაც წლების წინ მიშას ხელისუფლებაში ასევე საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა. პირადად ჩემთვის სულ ერთია, ვინ რამდენი წელი იყო ამ თანამდებობაზე, ორივე სააკაშვილის ნამინისტრალია.

– ერთი მიშას რჩეული მინისტრი იყო, ხოლო მეორე – მიშას მიერ მთავრობიდან გაგდებული, რომელიც შემდეგ ოპოზიციაში წავიდა და ნაციონალებს აქტიურად ებრძოდა.

– მაინც მიშას მინისტრი იყო.

– მოსახლეობას აქვს უფლება, იფიქროს ისე, როგორც მას უნდა. დემოკრატია იმას ნიშნავს, რომ ყველას აქვს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება.

– დემოკრატია თუ არის ქვეყანაში, მაშინ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება ნაციონალებსაც აქვთ.

– როგორ არა აქვთ, მაგრამ აქ პრობლემა ის არის, რომ ისინი ტყუილებს ლაპარაკობენ.

– „ოცნების“ წევრები არ იტყუებიან?

– „ქართულ ოცნებას“ ნაციონალებთან შედარებით მორალური უპირატესობა შერჩათ.

– რა მორალური უპირატესობა აქვთ?

– ორივეს მმართველობის წლებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ნაციონალებს ჩადენილი აქვთ დანაშაულები, რომლებზეც ერთხელაც კი არ გამოუთქვამთ სინანული. „ოცნების“ მმართველობის პერიოდს თუ შევხედავთ, მათ მხოლოდ შეცდომები და გადაცდომები აქვთ.

ბიძინა ივანიშვილის მხრიდან პირველი ტურის შემდეგ ძალიან კაცური ჟესტი იყო შეცდომების აღიარება. მან ასევე კაცური პირობა მოგვცა, რომ ყველაფერს გამოასწორებს.

– ივანიშვილმა 2012 წელსაც მოგვცა კაცური სიტყვა, რომ ქვეყანას ფეხზე დააყენებდა.

– მაშინაც კაცური დაპირება მოგვცა და ეს პირობა კაცურად შეასრულა. ბევრი რამე უკეთესობისკენ წავიდა.

– რატომ არ ჩანს მერე ეს უკეთესობა?

– იმიტომ, რომ მისი გარემოცვა და პიარსამსახური ამის შესახებ არ საუბრობენ. არ მესმის, რატომ ხდება ამის მიჩქმალვა.

ბევრი რამე კიდევ გასაკეთებელია, მაგრამ, მთავარი ის არის, რომ ივანიშვილმა კაცური პირობა მოგვცა.

ამ დაპირებამ შედეგიც გამოიღო, მეორე ტურში მან იმაზე უკეთესი შედეგი აჩვენა, ვიდრე 2012 წელს.

– პირველი ტურის ფიასკოს შემდეგ მეორე ტურში ნახევარი მილიონით მეტი ხმის მიღება, როგორც წესი, არ ხდება.

– როგორ არ ხდება, ხდება. იმაზე რატომ არ ლაპარაკობთ, გაერთიანებულმა ოპოზიციამ იმაზე ნაკლები ხმები რომ აიღო, ვიდრე 2012 წელს ნაციონალურმა მოძრაობამ.

– ვილაპარაკოთ ამაზეც და ისიც გავიხსენოთ, 2011 წლის ჩათვლით ივანიშვილი რომ იყო ნაცმოძრაობის მთავარი დამფინანსებელი.

– გეთანხმებით, რომ ასე იყო, ივანიშვილი ახლაც აფინანსებს უდიდეს პროექტებს, მაგრამ ეს რატომღაც არ ჩანს.

– რატომ არ ჩანს? ნაცების დროს კარგად ჩანდა.

– ვერც მე ვერ ვხვდები, თუ რატომ არ ჩანს. მინდა, თქვენი გაზეთით ვკითხო მის თანაგუნდელებს – რატომ არ ასაჯაროებენ ამ ინფორმაციებს.

– თქვენი აზრით, რატომ არ ასაჯარობენ, საბოტაჟს უწყობენ?

– ამის დამალვა დაუშვებელია. არ არის გამორიცხული, „ოცნების“ წევრების ნაწილი მას საბოტაჟსაც უწყობდეს.

როგორც კი რაღაცას ვიკითხავ, გუნდის შიგნით ეგრევე იძაბებიან და ფორიაქს იწყებენ. უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების აგენტები ხელისუფლებაშიც მრავლად არიან და ოპოზიციაშიც. როგორც კი რამის გარკვევას ვიწყებ, ეს აგენტები ეგრევე დაზავდებიან ხოლმე და ჩემი და ჩემნაირების წინააღმდეგ იწყებენ ბრძოლას.

– დაზავება ახსენეთ და ნაარჩევნებს ეს ქოცები და ნაცები რაღაც ჩატკბნენ, ერთმანეთს ნაზად აყრიან ქოქოლას.

– ჩატკბობა გამორიცხულია, მაგრამ პროცესები საინტერესოდ წავა. ევროპაში მყოფი ატამანი ვერაფრით იგუებს ახალ ლიდერს.

– ევროპაში მყოფ ატამანში მიშას გულისხმობთ?

– ეგ არის ატამანი. ის არაფრით დაუშვებს, რომ ნაცმოძრაობის ლიდერი სხვა გახდეს.

– რატომ ვერ იგუებს? თავად ჯვარი აქვს ამ პარტიაზე დაწერილი?

– მას ნაციონალური მოძრაობა თავისი მიზნებისთვის სჭირდება. მას საქართველოში დასაყრდენი რომ არ ჰყავდეს, ვერც უკრაინაში გაბედავდა ხმის ამოღებას და ვერც ევროპაში ილაპარაკებდა ამდენს.

ნაციონალური მოძრაობა მიშას პოლიტიკაში დარჩენის ერთადერთი საშუალებაა. აქედან გამომდინარე, ის არ დაუშვებს, რომ ამ პარტიას სხვა ლიდერი ჰყავდეს.

ნაციონალებისა და გაერთიანებული ოპოზიციის ნაწილი კატეგორიულად არ იზიარებს მიშას შეხედულებას დაუმორჩილებლობასთან დაკავშირებით. აქ აუცილებლად დაიწყება დაპირისპირება და სააკაშვილს ვიღაცები გაემიჯნებიან.

ნაციონალების იმ ნაწილთან, რომელიც ხელისუფლების შეცვლის გზად მხოლოდ არჩევნებს ხედავს, დიალოგი, ბუნებრივია, იქნება.

– ჩატკბობა არ იქნებაო და დიალოგი ჩატკბობა არ გამოდის?

– არა. ნაციონალებთან ჩატკბობა გამორიცხულია. ბოლო 3 თვის განმავლობაში მათ ყველაფერი იკადრეს. მათმა სიბინძურეებმა შედეგი ვერ გამოიღო. მათ ბრძოლა 40:60-ზე წაადგეს.

– „ოცნებას“ არ მიუღია ეს 60%. ეს პროცენტები მოიტანა ივანიშვილის ფაქტორმა, ადმინისტრაციულმა რესურსმა და ძველმა ბიჭებმა, რომლებიც აქტიურად იყვნენ საარჩევნო პროცესში ჩართული.

– მე ვერ დაგეთანხმებით, რომ ძველი ბიჭების დახმარებით მოხდა არჩევნების მოგება. ჩემთვის მთავარია, რას ფიქრობს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი. ისინი ამბობენ, რომ იყო გადაცდომები, რომლებიც აუცილებლად უნდა გამოიძიოს ხელისუფლებამ.

მათივე თქმით, გადაცდომები იმ ხარისხის არ ყოფილა, რომ მათ არჩევნებზე გავლენა მოეხდინა.

იმაში აბსოლუტურად გეთანხმებით, რომ ეს არჩევნები მოიგო ივანიშვილმა იმ ხალხთან ერთად, რომელიც 2012 წელს ედგა გვერდით.

– „ოცნების“ ახალი ლიდერები ასე ძალიან რატომ ბაქიბუქობენ?

– ეს ხალხი 2012 წელს არსად ჩანდა. მართლა არ ვიცი, რატომ ბაქიბუქობენ, მათ მიერ დადებული შედეგი პირველ ტურში ვნახეთ. ასე რომ, სატრაბახო ნამდვილად არა აქვთ.

– მოიშორებს ამ ხალხს ივანიშვილი?

– ჩვენ ყველაზე მეტად ველოდებით დაპირებულ ცვლილებებს. ივანიშვილმა კაცური სიტყვა მოგვცა და, დარწმუნებული ვარ, ამ სიტყვას არ გადავა.

„მაჟორიტარები ფეოდალებად გადაიქცნენ“

ნათია ხურცილავა

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იხსენებს, თუ როგორ მოხდა 1990 წელს კომუნისტურ პარტიასთან შეთანხმება საარჩევნო სისტემის ცვლილებასა და მრავალპარტიულ არჩევნებზე.

– ბატონო კონსტანტინე, კომუნისტურ პარტიასთან „მრგვალ მაგიდას“ მოლაპარაკებები ჰქონდა საარჩევნო სისტემის ცვლილებაზე. შერეულ საარჩევნო სისტემაზე, რომელიც დღემდე მოქმედებს, როგორ იქნა მაშინ შეთანხმება მიღწეული?

– ამას ძალიან საინტერესო ისტორია აქვს. კომუნისტური ხელისუფლების პირობებში ერთპარტიული არჩევნები იყო. ამიტომ ამ საარჩევნო სისტემით შესაძლებლობა ჩნდებოდა, რომ მხოლოდ ერთ პარტიას კი არა, სხვებსაც მიეღოთ მონაწილეობა. მაშინ ჩატარდა პირველი მრავალპარტიული არჩევნები საქართველოში.

მაშინ პირველად დარეგისტრირდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რამდენიმე ახალი პოლიტიკური პარტია. ეს იყო არასაბჭოური, პირველი მრავალპარტიული არჩევნები მთელ კომუნისტურ სივრცეში, მაშინდელ საბჭოთა კავშირში. არც ბალტიისპირეთში ჩატარებულა მრავალპარტიული არჩევნები.

კომუნისტური ხელისუფლების პირობებში ეს საარჩევნო კანონი ძალიან პროგრესული იყო, მაგრამ დღეს აღარ არის პროგრესული და შეუძლებელია, იყოს.

– რატომ?

– რადგან მაჟორიტარები ფეოდალებად გადაიქცნენ. დღეს მაჟორიტარები ყველა ხელისუფლებისთვის წარმოადგენენ საიმედო დასაყრდენს პარლამენტში. არ აქვს მნიშვნელობა, ეს მაჟორიტარი დღეს ოპოზიციაშია თუ არა, ხვალ ის მაინც ხელისუფლებასთან აღმოჩნდება.

მაჟორიტარები ხელისუფლებაში ყოფნის ვადას უხანგრძლივებენ ნებისმიერ პარტიას, რომელიც იმ დროს ხელისუფლებაშია. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია, ეს სისტემა პროგრესული იყოს, ის უნდა შეიცვალოს. ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ სრულად უნდა გადავიდეთ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე.

ასევე თანდათან უნდა მომზადდეს მეორე პალატის შესაძლებლობა, სადაც მხოლოდ მაჟორიტარული წესით იქნებიან დეპუტატები არჩეული. თუმცა, ეს ახლა ცხადია ვეღარ მოესწრება, მაგრამ საბოლოოდ ჩვენ ნაბიჯი სწორედ ამ მიმართულებით უნდა გადავდგათ.

– ორპალატიან პარლამენტზე საუბრობთ?

– დიახ, სადაც 100 დეპუტატი პროპორციული სისტემით იქნება არჩეული და 50 – მაჟორიტარულით. ეს ოდესმე უნდა მოხდეს.

დღევანდელობას რომ დავუბრუნდეთ, ვიტყოდი, რომ „ქართულ ოცნებას“ არც ისე ქუდში აქვს თავი.

– რატომ?

– იმიტომ, რომ მას საკმაოდ გაუჭირდება მაჟორიტარების გაყვანა იმ უპირატესობით, რომელიც დღეს მას აქვს, თუ სისტემას არ შეცვლის 2024 წლამდე, როგორც ეს კონსტიტუციაში წერია. ეს არ არის მაინცდამაინც ია-ვარდებით მოფენილი გზა. მე ეს გზა უფრო ეკლიანი მგონია.

– რაზე დაყრდნობით ამბობთ ამას?

– თუნდაც ამ არჩევნებზე დაყრდნობით. ეს კარგად გამოაჩინა საპრეზიდენტო არჩევნებმა, მე ვიტყოდი, ორივე ტურმა.

ვინ აპირებს ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო სიიდან ამოღებას

გულიკო ბალაძე

„საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება 21“-ის ხელმძღვანელი ზვიად ტომარაძე „ახალ თაობასთან“ ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო საგნების სიიდან ამოღებაზე საუბრობს.

– ბატონო ზვიად, თქვენ გაავრცელეთ ინფორმაცია, რომ განათლების სამინისტრო აპირებს, საგამოცდო საგნების სიიდან ამოიღოს ქართული ენა და ლიტერატურა. ეს ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება?

– განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა გააკეთა ოფიციალური განცხადება, რომ ეს სიმართლეს არ შეესაბამება. ეს ინფორმაცია ჩემთვის ცნობილი გახდა კომპეტენტური პირისაგან, რომელიც ამ პროცესში იყო ჩართული, ანუ ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობდა. მისი თქმით, სწორედ ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო საგნების სიიდან ამოღებაზე მსჯელობდნენ.

ამ პროცესში განიხილებოდა ორი ვარიანტი. პირველი – ქართული ენისა და ლიტერატურის ამოღება სავალდებულოდ ჩასაბარებელი გამოცდების სიიდან. მეორე ვარიანტით, საერთოდ უნდა გაეუქმებინათ მისაღები გამოცდები და სკოლის დამამთავრებელი გამოცდების შედეგების მიხედვით მომხდარიყო უნივერსიტეტებში ჩარიცხვა. მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით ცვლილება რომ განიხილებოდა, ეს მინისტრმაც განაცხადა და სხვადასხვა სააგენტოს საიტებზე ინფორმაციაც დევს.

აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია საზოგადოებისთვის იანვრის დასაწყისში უნდა მიეწოდებინათ. ეს ფაქტი მხოლოდ ვიწრო წრის,

სამუშაო ჯგუფისთვის არის ცნობილი.

ამ ინფორმაციის მტკიცებულება მე მაქვს იმ სახით, რომ ერთი პიროვნება დამიკავშირდა და აღნიშნული ინფორმაცია მომაწოდა, ხოლო მეორესთან მე თვითონ გადავამოწმე. მან ინფორმაცია დამიდასტურა.

– ანუ განათლების სამინისტრო ამ ინფორმაციას უარყოფს?

– ამას განათლების სამინისტრო ისევე უარყოფს, როგორც თავის დროზე უარყოფდა ახალი საგნის „მე და საზოგადოების“ პირვანდელი სტანდარტით დანერგვის გადაწყვეტილებას. ახლაც ზუსტად იგივე სიტუაციაა. მაშინ საზოგადოებამ საპატრიარქოსთან ერთად არ დავუშვით წარმოდგენილი სტანდარტით ახალი საგნის „მე და საზოგადოების“ მიღება და წარმოდგენილი ვარიანტიდან დიდი რაოდენობის ჭუჭყი ამოიწმინდა.

– განათლების სამინისტრო საბოლოოდ რა გადაწყვეტილებას მიიღებს?

– ალბათ, ამჯერადაც განათლების სამინისტროს ეყოფა კეთილგონიერება და ასეთ ცვლილებას არ დაუშვებს. იმედი მაქვს, „ქართული ოცნების“ კონსერვატორული ფრთა ამგვარი ცვლილებების წინააღმდეგ წავა. ამ საკითხზე ჯერ გადაწყვეტილება მიღებული არ არის, მაგრამ მსჯელობენ.

– ე.ი. ამ საკითხზე მსჯელობდნენ და ამ მიმართულებით ცვლილებების საკითხი დღის წესრიგში დგას?

– ამ საკითხზე ნამდვილად მსჯელობდნენ, თვითონ ის პიროვნება დამიკავშირდა, რომელიც ამ საკითხში იყო ჩართული.

– რაღაც დადებითს ხომ უნდა ემსახურებოდეს ასეთი ცვლილება? განზრახვის მიზანი რა უნდა ყოფილიყო?

– როდესაც სახელმწიფოს იდეოლოგია არ გააჩნია და მხოლოდ გარედან წამოსული დირექტივებით იმართება, კარგს რას უნდა ველოდოთ? არაფერს, შესაბამისად, ათას სისულელესთან გვაქვს საქმე. ასე ძალიან ხშირად ხდება.

– მაინც, რა სისულელეებს გულისხმობთ?

– მაგალითად, სისულელე იყო მარიხუანის პლანტაციების მოშენება, „მე და საზოგადოების“ თავდაპირველი ვარიანტი. კიდევ უამრავი თემის ჩამოთვლა შეიძლება. 7 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვაზე მორატორიუმი. 16 დეკემბრამდე, 9 დღის განმავლობაში, შესაძლებელი იქნება მიწის გაყიდვა და ყიდვა.

– ასე უცებ ვინ შეიძლება იყიდოს, ვისი ინტერესებია?

– ძალიან სერიოზული უცხოური კორპორატიული ინტერესებია და, აქედან გამომდინარე, 9 დღის განმავლობაში შეეცდებიან ძალიან დიდი რაოდენობით სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვას. ამ გადაწყვეტილებას სხვა ახსნა არ აქვს.

16 დეკემბერს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე ახალი კონსტიტუცია ამოქმედდება. ამიტომ ისმება კითხვა, რატომ გააკეთეს ეს?

– 9 დღეში ახალი კონსტიტუცია რომ ამოქმედდება, საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას უაზრობად არ აქცევს?

– დარჩენილ 9 დღეში მოასწრებენ და გააფორმებენ ყიდვა-გაყიდვას. ეს გათვლილი არ არის იმაზე, რომ უცხო ქვეყნის რამდენიმე ასეულმა მოქალაქემ რამდენიმე ჰექტარი მიწა შეიძინოს. აქ საუბარია დიდი რაოდენობით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე, რომელზე ინტერესი, სავარაუდოდ, გარკვეულ ბიზნესჯგუფს აქვს. ეს მათთვის გაკეთდა.

– ყველა შემთხვევაში არსებულ სიტუაციაში საქართველოსთვის მიწების გაყიდვა დაუშვებელია.

– მსოფლიოში ვერც ერთ ქვეყანას ვერ დამისახელებთ, რომელიც მიწას არ განიხილავდეს სტრატეგიული დანიშნულების რესურსად, საკუთარი მოსახლეობის გამოსაკვებ ბაზად. მიწას ასეთად აღიარებს ყველა ქვეყანა. მიწასთან დაკავშირებით დაწესებული აქვთ ისეთი შეზღუდვები, რომ, ფაქტობრივად, უცხოელი მოქალაქეები მიწებს ვერ ყიდულობენ.

ჩვენთან ყველაფერი ხდება. ჩვენ ცდების ჩასატარებელი პოლიგონი ვართ. ეს არის უბედურება.

– თქვენ შეაგროვეთ ხელმოწერები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ბინადრობის უფლების აკრძალვაზე და პარლამენტში შეიტანეთ კანონპროექტი. რა პასუხი მიიღეთ?

– 6 დეკემბერს პარლამენტიდან დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ, სავარაუდოდ, 11 დეკემბერს შედგება მისი განხილვა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში.

„ვიღაცას ყელში გაეჩხირა ჩვენი კარავი“

შორენა მარსაგიშვილი

ქარელის რაიონის სოფელ ატოცში სიტუაცია კვლავ დაძაბულია. ქართველ სამოქალაქო აქტივისტებს, რომლებიც იქ რუს ოკუპანტებს დარაჯობენ, ქართველ სამართალდამცავებთან მოუხდათ შეხლა-შემოხლა.

ატოცში, საოკუპაციო გამყოფ ხაზთან, ანტისაოკუპაციო მოძრაობა „ძალა ერთობაშია“ რამდენიმე კვირაა, პატრულირებს.

რამდენიმე დღის წინ მათ ოკუპანტების მიერ დამონტაჟებულ ბოძებთან ახლოს ტენტი გაჭიმეს, რომელზეც საქართველოსა და უკრაინის დროშები აღმართეს.

გუშინ, 9 დეკემბერს, ანტისაოკუპაციო მოძრაობის წევრებს ქართველმა სამართალდამცავებმა ამ ტენტის დაშლა და 30 მეტრით უკან გადატანა მოსთხოვეს.

ანტისაოკუპაციო მოძრაობის წევრები პოლიციის მოთხოვნამ აღაშფოთა. მოძრაობის ერთ-ერთი დამფუძნებლის, ლაშა ბერულავას თქმით, მათ კარავი ქართველ პოლიციელებთან შეთანხმების შემდეგ აღმართეს.

– სახელდახელო კარავი პოლიციელების ნებართვით დავდგით საოკუპაციო ბოძებიდან 30 მეტრში ჯერ კიდევ ერთი თვის წინ. აღმოჩნდა, რომ ვიღაცას ყელში გაეჩხირა და ახლა პოლიცია მოითხოვს, ის 30 მეტრით უკან გადავწიოთ, – ამბობს ბერულავა.

მას არ სჯერა, რომ პოლიცია მათ უსაფრთხოებაზე ზრუნავს.

– ამას ჩვენი უსაფრთხოებით ხსნიან, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ გადატანაში რაღაც სტრატეგიული გეგმაა ჩადებული, რაც, ბორდერიზაციის განახლების შემთხვევაში, ჩვენ გვიგრძელებს გზას რუსი ოკუპანტებისთვის ხელის შესაშლელად.

ძალიან მარტივი გეგმაა, რომ პოლიციას უნდა, უფრო მეტი ტერიტორია დარჩეს საკონტროლოდ, მაგრამ, სატირალი ის არის, რომ ჩვენგან ცდილობენ ოკუპანტებამდე მისასვლელი ტერიტორიის გაკონტროლებას და არა პირიქით. ჩვენ არ შევდივართ დაპირისპირებაში ადგილობრივ პოლიციელებთან, რადგან მათგან ჯერ კიდევ რამდენიმე დღით ადრე ვიცოდით, რომ, შესაძლოა, ასეთი ბრძანება მიეღოთ. ამის გამო წუხდნენ და წინასწარ გვიბოდიშებდნენ.

არც ჩვენს აგებულ კარავს დავშლით: თვითონ პოლიციელებმა დაშალონ, ჩვენ კი ამას ვაჩვენებთ მთელ ქვეყანას. ორი სოფლის იქით, პოლიციის საგუშაგოზე, ხალხს ჩვენკენ არ უშვებენ, თუ ეტყვიან, რომ ატოცში მიდიან ქაცარავას გუნდის მხარდასაჭერად. მარაზმია ეს ყველაფერი. ასეთი მობილიზაცია თავის დროზე რომ გამოეცხადებინათ, იქ ის 148 ბოძიც არ იქნებოდა ახლა, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ბერულავამ.

ატოცში მიმდინარე ამბებს დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

საოკუპაციო ხაზთან რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ჩავიდნენ. ისინი მზად არიან, დაიცვან სახელდახელო კარავი. გუშინ საღამომდე კარვის დაცვა გამოუვიდათ. რა იქნება მომავალში, არ იციან.

ლაშა ბერულავა მიიჩნევს, რომ ის, რაც 9 დეკემბერს ატოცში მოხდა, ერთგვარი ტესტი იყო.

– დატესტეს სიტუაცია ატოცში: პოლიციამ ჩვენი კარვის უკან გადმოწევა მოითხოვა, რაც ნიშნავდა იმას, რომ ოკუპანტების გადაადგილების კონტროლს ვკარგავდით. დათო ქაცარავამ გუნდის სახელით განაცხადა, რომ კარავს არ გადასწევდა.

მოხდა მცირე შელაპარაკება პოლიციასთან.

თბილისიდან ადამიანები თვითორგანიზებულად დაიძრნენ ატოცისკენ. მათი ნაწილი პოლიციამ ატოცში შესვლამდე, საგუშაგოსთან შეაჩერა, მაგრამ მერე ვიღაც გონიერი მიხვდა, რომ ეს უარესი იყო და მანქანები გაატარეს. ატოცში ჩავიდნენ ზაზა სარალიძე, ნატა ფერაძე, მოძრაობა „რუსეთი ოკუპანტიას“ ახალგაზრდები და სხვები. დაინტერესდა თითქმის ყველა სერიოზული მედიასაშუალება.

გართულების შემთხვევაში თბილისიდან გასასვლელად მზად არიან ელისო კილაძე და სხვა ჟურნალისტები. ჩვენი კარავი ადგილზეა, პოლიციის საგუშაგო არ არის ჩაკეტილი. ტესტის პასუხი ხელისუფლებისთვის – არ გამოვა ეგ ამბავი, – დაწერა ფეისბუქის საკუთარ გვერდზე ლაშა ბერულავამ.

გახდება თუ არა გახარია პრემიერი?

შორენა მარსაგიშვილი

შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია სულ უფრო პოპულარული ხდება. ამ პოპულარულ მინისტრს, შესაძლოა, ბიძინა ივანიშვილმა მთავრობის მეთაურის პოსტი ჩააბაროს.

გიორგი გახარიას გაპრემიერება ჯერ კიდევ ზაფხულში იგეგმებოდა, მაგრამ მაშინ მას „ოცნების“ ერთ-ერთმა დაჯგუფებამ შეუშალა ხელი. მთავარ მეოცნებესთან არასწორად მიიტანეს ამბავი, რის გამოც გახარია შსს-ში დარჩა.

შს მინისტრის პოსტზე ყოფნა მან კარგად გამოიყენა. დღეისთვის ის ყველაზე რეიტინგული და პოპულარული მინისტრია.

„ოცნების“ კულუარებში გავრცელებული ინფორმაციით, ყველაზე პოპულარული მინისტრი მალე მთავრობის მეთაური გახდება.

გახარიას გაპრემიერებაზე საუბარი საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შემდეგ გავრცელდა. ხელისუფლების ერთ ნაწილს საშინლად არ უნდა მისი დაწინაურება და შს მინისტრზე სხვადასხვა ჭორის გავრცელება დაიწყეს.

ამტკიცებდნენ, რომ გახარია მღვდელმთავრებზე აგროვებდა კომპრომატებს. ამ ხმებმა მის ყურამდეც მიაღწია. სავარაუდოდ, ამ ჭორების გაბათილებას უკავშირდებოდა მისი გახშირებული შეხვედრები მღვდელმთავრებთან.

„ოცნებასთან“ დაახლოებული პირი „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ ივანიშვილმა მთავრობაში დიდი ცვლილებები გადაწყვიტა. ჩვენი წყაროს ინფორმაციით, მთავარი მეოცნებე ყველა მინისტრის გაშვებას ითხოვს.

– გამონაკლისი მხოლოდ თეა წულუკიანია. მას ალბათ არ შეელევა ივანიშვილი, – ამბობს ჩვენი წყარო.

ამ ინფორმაციას ოფიციალურად არავინ ადასტურებს, მაგრამ „ოცნების“ კულუარებში უკვე საუბრობენ ახალ მინისტრებზე.

გავრცელებული ინფორმაციით, თავდაცვის მინისტრის პოსტს შავლეგო ტაბატაძე დაიკავებს. ის ახლა იმერეთის გუბერნატორია.

შს მინისტრის პოსტზე გახარიას ალეკო ტაბატაძე ჩაანაცვლებს. მას ახლა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილის პოსტი უკავია. როგორც ამბობენ, ამ პოსტის დაკავება დეპუტატ კობა ნარჩემაშვილსაც უნდა, მაგრამ მისი შანსები ძალიან მცირეა.

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, შეიცვლება სოფლის მეურნეობის მინისტრიც. ამბობენ, რომ ეს პოსტი, შესაძლოა, სამეგრელო-ზემო სვანეთის მოქმედმა გუბერნატორმა ალექსანდრე მოწერელიამ დაიკავოს.

სამთავრობო ცვლილებებს, სავარაუდოდ, ვერც ივანიშვილის ნდობით აღჭურვილი პირი, მთავრობის ვიცეპრემიერი და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი გადაურჩება.

მედიაში მაია ცქიტიშვილის შესაძლო გათავისუფლებაზე ინფორმაციები ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ გავრცელდა. სააგენტო „თაიმერის“ ცნობით, ცქიტიშვილს ტენდერების სკანდალს გადააყოლებენ.

ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყო მაია ცქიტიშვილმა. ანალოგიურად იქცეოდა მისი წინამორბედი ზურაბ ალავიძეც. აღსანიშნავია, რომ მისი გადადგომის შესახებაც პირველი ინფორმაცია სწორედ „თაიმერმა“ გაავრცელა.

მართალია, ცქიტიშვილი უარყოფს, მაგრამ „ოცნების“ კულუარებში მის შესაძლო შემცვლელზე საუბრობენ. ჩვენი წყაროს ინფორმაციით, ინფრასტრუქტურის მინისტრის სავარძელს დეპუტატი ოთარ დანელია დაიკავებს.

ჩვენი წყაროს ცნობითვე, იგეგმება კახა კახიშვილის გამინისტრებაც. რომელ სამინისტროს ჩააბარებენ მას, ეს ჯერჯერობით უცნობია.

მამუკა გამყრელიძე: „ზურაბიშვილის ინაუგურაციაზე ქვების სროლას არ ვაპირებთ“

„ჩვენი მთავარი ამოცანა მთლიანად პროპორციულ სისტემაზე გადასვლაა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, ყოფილი დიპლომატი მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, გაერთიანებულ ოპოზიციაში 16 დეკემბერს დაანონსებულ აქციასთან დაკავშირებით აზრი ორად გაიყო. გაუგებრობა გამოიწვია სალომე სამადაშვილის განცხადებამაც, რომელიც არ აპირებს ისეთ აქციებში მონაწილეობას, სადაც გრიგოლ ვაშაძეს, როგორც პრეზიდენტს, ისე შეხვდებიან. როგორია თქვენი პოზიცია?

– მე მესმის სალომეს პათოსი ამ შემთხვევაში. აქ არ არის ლაპარაკი იმაზე, რომ უნდა მიესალმონ გრიგოლ ვაშაძეს, როგორც პრეზიდენტს. ამის მომხრე არც მე ვარ და არც არავინ და არც თვითონ გრიგოლი არ არის. შეიძლება, შენ მორალურად გამარჯვებულად აღიქვამ თავს და ჩვენ ასე აღვიქვამთ, იმიტომ რომ ნამდვილად მორალური უპირატესობა მივიღეთ ამ არჩევნების შემდეგ, მაგრამ სამართლებრივად ასე არ არის.

მოდით, ასე ვთქვათ, რომ პოლიტიკური ლეგიტიმაცია ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს არ აქვს. ჩვენ მას, როგორც პრეზიდენტს, პოლიტიკურ ლეგიტიმაციას ვერ მივანიჭებთ. ამიტომ მე სალომე სამადაშვილის მესმის და მისი პოზიცია აბსოლუტურად გასაგებია. ამიტომ გეტყვით, რომ არანაირ აზრის ორად გაყოფას არ აქვს ადგილი. თავად ლიდერშიპში არ არის არანაირი უთანხმოება.

– ანუ არ შეეფერება სიმართლეს ინფორმაცია, რომ ამ ოპოზიციური ერთობის რღვევა მიდის?

– ვინ თქვა ეგ?! არანაირად, გუშინაც ერთად ვიყავით და ყველა საკითხზე კონსენსუსის გზით მივდივართ. ის, რომ სააკაშვილს განსაკუთრებული მიდგომები და შეხედულებები აქვს, მისი პირადი პოზიციაა.

– სააკაშვილს მართლა გაემიჯნეთ?

– რას ამბობთ, ვინ გაემიჯნა. მეცინება ხოლმე, ასეთ ინფორმაციებს რომ ვისმენ. მიხეილ სააკაშვილი არის ნაციონალური მოძრაობის ლიდერი, ხოლო ნაციონალური მოძრაობა აქ წარმოდგენილია უზარმაზარი ძალით მომხრეების თვალსაზრისით. როგორ შეიძლება, მათ გაემიჯნო. გამიჯვნა ნიშნავს, რომ მართლა დაიწყება რღვევა.

დღეს მიხეილ სააკაშვილი თვითონ მოდის ძალიან კონსტრუქციულ ურთიერთობებზე. კი, შესაძლოა, ის უფრო აქტიური და მკვეთრი იყოს ჩვენთან შედარებით, ჩვენ უფრო მდორე პროცესის მომხრეები ვართ.

– მისი განცხადებები არ გაიზიარეს დანარჩენმა ლიდერებმა, იმავე დაუმორჩილებლობის თაობაზე და ასე შემდეგ.

– იცით რა, დაუმორჩილებლობაა ისიც, რომ ჩვენ არ ვიღებთ ქალბატონ სალომეს, არ მივიჩნევთ პრეზიდენტად, არ ვიღებთ მის პოლიტიკურ ლეგიტიმაციას. ესეც ერთგვარი დაუმორჩილებლობაა. აქ მთავარი რა არის? მთავარია მიზანი, ჩვენ რა მიზნის მიღწევა გვინდა.

– და რა გინდათ?

– ეს მიზანი მარტო ჩვენი არ არის, აქ შემოგვიერთდა ძალიან ბევრი სხვა ოპოზიციური პარტიაც და კიდევ დაგვემატებიან. ეს ძალიან მახარებს. ამ კვირაში ჩვენ კიდევ ერთ განცხადებას გავაკეთებთ და ჩამოვაყალიბებთ ზუსტად, რომ ეს არის უპირველეს ყოვლისა საარჩევნო სისტემის შეცვლა, კომისიების დაკომპლექტების წესი და ეს არის ვადამდელი არჩევნები.

აი, ეს არის ჩვენი მიზანი. ხელისუფლება თუ წამოვიდა ამაზე, რომ ჩვენ დავიწყოთ საარჩევნო სისტემის შეცვლა და საარჩევნო კომისიების კომპლექტაციის შეცვლა, ეს იმდენად დიდ დროს დაიჭერს პროცედურულად, რომ ვეღარც ვილაპარაკებთ ვადამდელ არჩევნებზე.

– ვადამდელი არჩევნები არ არის თქვენი მთავარი მიზანი?

– ჩვენი ძირითადი მიზანი სწორედ ეს არის, რომ შეიცვალოს საარჩევნო გარემო და ის იყოს სამართლიანი, რომ მერე აღარ დაგვიწერონ ეუთოსა და სხვა დამკვირვებლებმა, რომ ეს იყო არასამართლიანი არჩევნები.

ეს არის სირცხვილი, როდესაც შენ გაქვს პრეტენზია, იყო ევროპული ქვეყანა და ასეთ დროს არასამართლიან არჩევნებს გიწერენ.

ამიტომ ჩვენ გვინდა, რომ შევცვალოთ ეს სისტემა, რომელიც არის ძალიან მახინჯი. ჩვენ გვინდა, არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ ნებისმიერი ოპოზიციისთვის თანაბარი პირობები შევქმნათ.

– ხელისუფლება არანაირი ფორმატში არ აპირებს თქვენთან დიალოგს. მათთან თანამშრომლობის გარეშე რამდენად გამოვა ეს ცვლილებები?

– ეს მათი პრობლემაა. წარმოგიდგენიათ ისეთი ხელისუფლება, რომელიც ოპოზიციასთან არ თანამშრომლობს?! ხელისუფლება შედგება ორი შტოსაგან. ეს არის ოპოზიცია და ეს არის თავად ხელისუფლება. ორი შტო აქვს ხელისუფლებას ყოველთვის და ეს დაფუძნებულია მესამე ძლიერ ძალაზე, რასაც ხალხი ჰქვია.

თუ მარტო ერთი ძალა დომინირებს სხვა ძალებზე, ამას უკვე აღარ ჰქვია დემოკრატია და ეს არის დიქტატურა.

რას ნიშნავს, არ მოვდივართ შენთან დიალოგზე? თუ დემოკრატიაზე გაქვს პრეტენზია, ეს აბსურდია, უბრალოდ. ამიტომ ხელისუფლების ვალდებულებაა, გაითვალისწინოს ეს ჩვენი მოთხოვნა. თუ არ გაითვალისწინებენ, შემდეგ ჩვენ გვაქვს სხვა ბერკეტები. ევროსაბჭო, ევროპული ინსტიტუციები...

– ამ ჭიდილში 2020 წელიც მოგვადგება კარს.

– მოგვადგეს. მთავარია, ჩვენ შევცვალოთ სისტემა, რომ 2020 წლის არჩევნები ჩატარდეს სამართლიან საარჩევნო გარემოში.

– 16 დეკემბერს არის პრეზიდენტის ინაუგურაცია და ასევე ოპოზიციის მიერ დაანონსებული საპროტესტო აქცია. თქვენც ჩახვალთ თელავში და იქ გამართავთ აქციას. ამ საკითხზე თუ შეთანხმდა ოპოზიციური ერთობა?

– ოპოზიცია შეთანხმდა იმაზე, რომ ჩვენ ვატარებთ აქციას. როგორი სახით იქნება და რანაირად, ამაზე ჯერჯერობით მიმდინარეობს საუბრები, პრინციპში, ძირითადი მონახაზი უკვე გვაქვს. აქ ერთი რამ არის ძალიან სასაცილო.

– რა?

– პარასკევს საღამოს შევიკრიბეთ და ვლაპარაკობდით, როგორ უნდა ჩავატაროთ აქცია თელავში და ასე შემდეგ და ზუსტად ერთ საათში, როგორც ჩანს, სუსმა ეს ყველაფერი გაიგო, საღამოს ჩაატარეს თათბირი და გამოაცხადეს, რომ არა მხოლოდ თელავი, სამი ლოკაცია განიხილება ინაუგურაციის ჩასატარებლად. რისი ეშინიათ ამ დალოცვილებს, ვერ გავიგე! ჩვენ არ ვაპირებთ ქვების სროლასა და ნაჯახებით სირბილს ნამდვილად. ეს იქნება აბსოლუტურად მშვიდობიანი აქცია.

– ანუ შესაძლოა შეიცვალოს და არ იყოს თელავში?

– ასე გამოდის და, უბრალოდ, სასაცილოები ხდებიან. შეეშინდათ და თბილისიდან გაიქცნენ თელავში, მერე რომ გაიგეს, თელავში ვაპირებთ ჩასვლას, ვიმე, არც იქო და აცხადებენ, რომ სამ ლოკაციას განიხილავენ და არ იციან, სად იქნება. კარგით რა, ხალხო, მართლა ხელისუფლება ხართ თუ საბავშვო ბაღი?! უბრალოდ, სირცხვილია.

– და რას ფიქრობს ოპოზიცია? სადაც გაიმართება ინაუგურაცია, იქით დაიძვრებით აქციის ჩასატარებლად?

– (იცინის) არ ვიცი. გადავწყვეტთ და მოგახსენებთ. ჩვენ ძალიან მშვიდად ვუდგებით ამ საკითხს. ჩვენ დღეს გვაქვს უზარმაზარი მორალური უპირატესობა და შევეცდებით, ეს მაქსიმალურად გამოვიყენოთ.

„პუტინს მეზობელ ქვეყნებზე კონტროლის აღდგენა უნდა“

„რუსეთის საგარეო პოლიტიკა უფრო აგრესიული ხდება“

მარიამ მჭედლიშვილი

დასავლელი ანალიტიკოსები ადრინდელზე უფრო ინტენსიურად ალაპარაკდნენ იმაზე, რომ რუსეთის პრეზიდენტ პუტინს უნდა მეზობელ ქვეყნებზე კრემლის კონტროლის აღდგენა. მეზობელ ქვეყნებში იგულისხმება პირველ რიგში უკრაინა, საქართველო და მოლდოვა და, გარკვეულწილად, ბალტიისპირეთის სახელმწიფოები. დასავლეთში სულ უფრო ხშირად პროგნოზირებენ ახალ შეიარაღებულ შეჯახებაზე რუსეთისა და დასავლეთის ბანაკებს შორის.

კავკასიაში რუსეთის ახალი ძალით გააქტიურება მიმომხილველებმა ქერჩის სრუტეში მოვლენების დაწყებისთანავე ივარაუდეს.

სამხრეთ კავკასიაში რუსეთის პოზიციების გამყარებას ექსპერტები ხსნიან ასევე კასპიის ზღვის რეგიონის საკითხზე შეთანხმებითა და მისი სტატუსის განსაზღვრით. ამან გაზარდა რუსეთის უსაფრთხოებისა და თავდაცვის შესაძლებლობები, თუმცა შეზღუდა ენერგეტიკული პოტენციალი.

კავკასიის რეგიონის მიმართ დაინტერესებას ამყღავნებს საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი აშშ-ც, რომელსაც, პოლიტიკურის გარდა, საკუთარი ენერგეტიკული მიზნებიც აქვს.

ამერიკელი ექსპერტები შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ რუსეთი ბოლო დროს უფრო გამომწვევად იქცევა. მათი დასკვნით, ის დიპლომატიური ინსტრუმენტები, რომლებიც ცივი ომის დროს აბრკოლებდა მსოფლიოში შეიარაღებული კონფლიქტის გაჩენას, დღეს ატროფირებულია. ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობს სამხედრო კონფლიქტის საფრთხე.

ამერიკელი უსაფრთხოების სპეციალისტების აზრით, ამერიკული სტრატეგია რუსეთის მიმართ არ მუშაობს. ამ პოლიტიკით, რუსეთი საგარეო პოლიტიკაში უფრო აგრესიული ხდება, საშინაო პოლიტიკაში კი – კიდევ უფრო ნაკლებად დემოკრატიული.

ავტორების შეფასებით, მსოფლიოში რისკებს ქმნის შეიარაღებაზე კონტროლის მოშლა. ეს კონტროლი კრახამდე მივიდა. ამავდროულად, რუსეთმა ფაქტობრივი ალიანსი ჩამოაყალიბა ჩინეთთან, რომელიც აშშ-ის გლობალური მოწინააღმდეგეა.

ამერიკელი ექსპერტების დასკვნით, კრემლს ვერაფერს აკლებს ამერიკის მიერ დაწესებული მრავალრიცხოვანი სანქციები.

ისინი თვლიან, რომ აშშ-მ უნდა შეიმუშაოს ახალი სტრატეგია რუსეთის წინააღმდეგ. ის უნდა მოიცავდეს კონტროლს შეიარაღებაზე, კიბერპოლიტიკის გაძლიერებას, ასევე ოფიციალურ დიალოგს როგორც რუსეთთან, ისე ყველა სხვა სახელმწიფოსთან.

ექსპერტები და პოლიტიკური ლიდერები შექმნილ რთულ ვითარებაში ახალ მსოფლიო წესრიგსა და გეოპოლიტიკურ ცვლილებებზე საუბრობენ.

რუსეთის, ჩინეთის, თურქეთის, მექსიკისა და ვენესუელის ერთმანეთთან დაახლოებასა და ერთობლივ ინტერესებზე განცხადებას აკეთებს ვენესუელის ოდიოზურად მიჩნეული პრეზიდენტი ნიკოლას მადურო.

მისი თქმით, მსოფლიოში იქმნება ახალი გეოპოლიტიკა.

მადუროს გეოპოლიტიკურ გამარჯვებებზე ტრაბახს დაემთხვა ვენესუელის წინააღმდეგ ქვეყნების ჯგუფის დემარში. საქართველოს ორი რეგიონის „დამოუკიდებლობის“ ამღიარებელი ვენესუელის წინააღმდეგ, აშშ-ის გარდა, „ლიმას ჯგუფის“ სახელმწიფოებიც, მათ შორის კანადა, გამოდიან.

ისინი მზად არიან, დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტონ ანტიდემოკრატიულ ვენესუელასთან.

რუსეთთან დაახლოებული ვენესუელა ამერიკის კონტინენტის სახელმწიფოებს პასუხობს, რომ ისინი თვითონ არიან შორს დემოკრატიისგან.

გუბაზ სანიკიძე: „თუ ქვეყანაში სამართალი არ იქნა, რა თქმა უნდა, რევოლუცია იქნება“

– თუ ქვეყანაში სამართალი არ იქნა, რა თქმა უნდა, რევოლუცია იქნება. აბა, როგორ იქნება? – ამის შესახებ „დემოკრატიული მოძრაობის“ წევრმა გუბაზ სანიკიძემ პირველი არხის გადაცემაში „აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად“ სტუმრობისას განაცხადა.

– დღეს სამართალი არ არის, რა თქმა უნდა. სადაა, როგორ არის? მე არანაირი რევოლუცია არ მინდა და ჩემს სამშობლოში ოჯახთან ერთად მშვიდი ცხოვრება მინდა, რისი უფლებაც ყველას გვაქვს, მაგრამ, თუ ქვეყანაში სამართალი არ იქნა, რა თქმა უნდა, რევოლუცია იქნება, – განაცხადა გუბაზ სანიკიძემ.

კითხვაზე, მიიღებს თუ არა ის მონაწილეობას 16 დეკემბერს დაგეგმილ ან სხვა საპროტესტო აქციებში ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად, სანიკიძემ უპასუხა, რომ ეს გამორიცხულია.

წამყვანის კითხვაზე, რას გულისხმობს სანიკიძე, როცა აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილს საქართველოს მოქალაქეობა უნდა მისცენ და ის საქართველოში უნდა ჩამოვიდეს, სანიკიძემ უპასუხა, რომ ეს არჩევანი „ქართულმა ოცნებამ“ უნდა გააკეთოს.

– უპირველეს ყოვლისა, რატომაც მიმაჩნია, რომ სააკაშვილი ქვეყანაში უნდა დაბრუნდეს, ისაა, რომ ივანიშვილსა და სააკაშვილს შორის ეს იწილობიწილო უნდა დამთავრდეს, რათა ყოველი არჩევნების წინ არ იყოს საფრთხე, რომ სააკაშვილი დაბრუნდება და ყველას თავებს დაგვაჭრის. თუ დასაჭერია, დაბრუნდეს, დაიჭირონ და გაასამართლონ, თუ არადა, ის, რა თქმა უნდა, თავის პოლიტიკურ ორგანიზაციას ჩაუდგება სათავეში, – განაცხადა სანიკიძემ.

სანიკიძის თქმით, ღმერთმა არ ქნას, მოვლენები ასე განვითარდეს, მაგრამ მიხეილ სააკაშვილი რომ საქართველოში ჩამოვიდეს, დარწმუნებულია, ეს ხელისუფლება, თავისი ბელადის მეთაურობით, ქვეყნიდან გაიქცევა.

კითხვაზე, შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ის და ნინო ბურჯანაძის პარტია საარჩევნო სისტემის შეცვლას ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად ითხოვენ, სანიკიძემ უპასუხა, რომ „დემოკრატიული მოძრაობა“ 2016 წლიდან ითხოვდა საარჩევნო სისტემის შეცვლას, ხოლო ნაციონალური მოძრაობა ამ აზრამდე ახლა მოვიდა.

მედიანიუსი

კახა კახიშვილი: „ყველას სურვილია, პრეზიდენტის ინაუგურაციისთვის რაც შეიძლება მცირე თანხა დაიხარჯოს“

საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციის ღონისძიებები თბილისში, თელავსა და წინანდალში გაიმართება.

ამის შესახებ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა კახა კახიშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, ინაუგურაციასთან დაკავშირებით შექმნილი სპეციალური კომისიის სხდომაზე შესაძლო სცენარი განიხილეს. როგორც კახიშვილმა განმარტა, უცხოელი სტუმრების შესახებ ინფორმაციას საგარეო საქმეთა სამინისტროდან ელოდებიან.

– საგარეო საქმეთა სამინისტროს ორშაბათამდე აქვს ვადა, რომ წარმოადგინოს სია, დაახლოებით ვინ ჩამობრძანდება უცხოეთიდან. რაც შეეხება ლოკაციებს, ისევ ძალაშია სამი ლოკაცია. ეს არის თბილისი, თელავი და წინანდალი. თბილისთან მიმართებით საუბარია ჭავჭავაძის საფლავის გვირგვინით შემკობაზე, გმირთა მემორიალთან მისვლაზე. დადასტურებულად შემიძლია გითხრათ, რომ ფიცის დადების ცერემონია თელავში გაიმართება, ხოლო საზეიმო მიღების ადგილად წინანდალი განიხილება, – განაცხადა კახა კახიშვილმა.

მისი თქმით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მუშაობს, რომ რაც შეიძლება მეტი პარტნიორი ქვეყნის წარმომადგენელი დაესწროს ინაუგურაციის პროცესს.

– ეს არის ერთდღიანი ღონისძიება, დაიწყება 15:00 საათზე და დასრულდება დაახლოებით 19:00 საათზე. აქედან გამომდინარე, სტუმრებს სურვილი არ აქვთ, რომ განთავსდნენ სასტუმროში. განვიხილავთ, რომ ფიცის დადების ცერემონია 15:00 საათზე დაიწყოს, შესაძლოა, ერთი საათი იყოს ცვლილება, იმის გათვალისწინებით, როგორი ამინდი იქნება.

რაც შეეხება ბიუჯეტს, სანამ არ გვეცოდინება სტუმრების რაოდენობა, ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვით. ყველას სურვილია, ეს ღონისძიება რაც შეიძლება ცოტა თანხა დაჯდეს, – განაცხადა კახი კახიშვილმა.

როგორც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა აღნიშნა, მათი ამოცანაა, რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა მიიღოს მონაწილეობა პრეზიდენტის ინაუგურაციაში.

– გასათვალისწინებელია, რომ ლოკაცია თბილისიდან საკმაოდ შორს არის, მაგრამ, ამის მიუხედავად, ვმუშაობთ, რომ რაც შეიძლება ბევრმა ადამიანმა მიიღოს მონაწილეობა. რა თქმა უნდა, ტრანსპორტირებაც მოხდება და ხელშეწყობაც იქნება გონიერების ფარგლებში, – განაცხადა კახი კახიშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაცია 16 დეკემბერს თელავში გაიმართება.

1tv

გიორგი ქობულია: „ვაჭრობაში არსებული 3.5 მლრდ-იანი დეფიციტიდან 2 მლრდ ტურიზმიდან შემოსული თანხებით იფარება“

ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტურობა ნიშნავს, რომ უფრო მეტი ვალუტა გადის ქვეყნიდან, ვიდრე შემოდის, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკაზე. ეს იწვევს ზეწოლას ვალუტის კურსზე და წარმოშობს დეფიციტის ფინანსური ანგარიშით დაფარვის აუცილებლობას (ინვესტიციები, ვალის აღება, რეზერვების შემცირება). მიმდინარე ანგარიშის მაღალი დეფიციტი ზრდის ეკონომიკის დაკრედიტების რისკს, რაც საკრედიტო რესურსზე ნაკლებ ხელმისაწვდომობაში ან/და გაზრდილ საპროცენტო განაკვეთში აისახება.

ტრადიციულად, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გამომწვევ მთავარ ფაქტორად, საქართველოს შემთხვევაში, საქონლით ვაჭრობის უარყოფითი სალდო (როცა იმპორტის მოცულობა აღემატება ექსპორტს) რჩება, რომელსაც ნაწილობრივ აბალანსებს მომსახურებით ვაჭრობა, ძირითადად ტურიზმიდან მიღებული სახსრების ხარჯზე. საქონლით ვაჭრობიდან დეფიციტმა, უშუალოდ 2017 წელს, 3.8 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, ტურიზმიდან წმინდა შემოსავლებმა კი, 2.2 მლრდ აშშ დოლარი.

ამდენად, გიორგი ქობულიას განცხადების კონტექსტი საგადასახდელო ბალანსის ცალკეული მუხლების ცვლილების ტენდენციასა და ურთიერთკავშირთან მიმართებაში სწორია, დასახელებული მონაცემები კი უმნიშვნელოდ განსხვავდება ფაქტობრივი მაჩვენებლებისაგან.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი ქობულიამ განაცხადა, რომ საქართველოს ვაჭრობაში წელიწადში დაახლოებით 3.5 მილიარდი დოლარის დეფიციტი აქვს. ანუ, 3.5 მილიარდი დოლარით მეტი ღირებულების საქონელი შემოაქვს, ვიდრე გააქვს. მისივე განმარტებით, აღნიშნული სხვაობა სხვა წყაროებით უნდა დაბალანსდეს და ამ 3.5 მილიარდი დოლარიდან, ორი მილიარდი, დღემდე, სწორედ ტურიზმმა დაფარა.

ქვეყანაში შემომავალი და გამავალი ფულადი ნაკადების შესახებ მონაცემები სრულყოფილად ქვეყნის საგადასახდელო ბალანსშია მოცემული. საგადასახდელო ბალანსი ერთგვარი ანგარიშია, რომელიც ასახავს ქვეყნის ეკონომიკასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის ფულის მოძრაობას. ბალანსი შედგება მიმდინარე ანგარიშის, კაპიტალის ანგარიშის და ფინანსური ანგარიშისაგან.

მიმდინარე ანგარიში მოიცავს საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის მუხლს, შემოსავლების და ტრანსფერების მუხლებს. თავის მხრივ, შემოსავლების მუხლი გვიჩვენებს შემოსავლის ნაკადებს საზღვარგარეთიდან (კერძოდ, შრომის ანაზღაურებასა და საინვესტიციო შემოსავალს) და საქართველოდან გადარიცხულ შემოსავლებს. ტრანსფერები მოიცავს მიმდინარე ტრანსფერებს ქვეყნის რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის (მაგალითად, გრანტები, ფინანსური დახმარებები).

კაპიტალის ანგარიში შედგება კაპიტალური ტრანსფერებისა და არაწარმოებული არაფინანსური აქტივების შეძენა/გადაცემისაგან. კაპიტალური ტრანსფერის ერთ-ერთი სახეა ვალის პატიება.

ფინანსური ანგარიში მოიცავს პირდაპირ ინვესტიციებს, პორტფელის ინვესტიციებს, ფინანსურ წარმოებულებს, სხვა ინვესტიციებსა და სარეზერვო აქტივებს.

თუ ქვეყნის მიმდინარე ანგარიში დეფიციტურია, ანუ უფრო მეტი ვალუტა გადის ქვეყნიდან, ვიდრე შემოდის, ეს დანაკლისი ფინანსური ანგარიშით იფარება (ინვესტიციებით, ვალის აღებით და ვალუტის რეზერვების შემცირებით).

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ცვლილების ტენდენციას ცხრილი 1 ასახავს. 2017 წლის მონაცემებით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, წინა წლის იგივე პერიოდთან შედარებით, 531 მლნ დოლარით შემცირდა (რაც სიტუაციის გაუმჯობესებას ნიშნავს) და 1.316 მლნ დოლარს გაუტოლდა. დეფიციტის ფარდობამ შესაბამისი პერიოდის მშპ-თან მიმართებით 8.7% შეადგინა, რაც ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია და მხოლოდ 2013 წლის შესაბამის მონაცემს (5.9%) აღემატება. 2018 წლის 2 კვარტლის მონაცემებით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 2017 წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით 139 მლნ დოლარითაა გაზრდილი (გაუარესებული) და 803 მლნ დოლარს შეადგენს. მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელი 10.29%-ია, რაც 0.77 პუნქტით მაღალია გასულ პერიოდთან შედარებით.

დეფიციტის ფორმირების ტენდენციასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ მთელ პერიოდზე უარყოფითი სალდოს გამომწვევ მთავარ ფაქტორად საქონლით ვაჭრობა რჩება, რომლის სალდოც 2017 წელს, გასული პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებით, უმნიშვნელოდ (0.74%) შემცირდა და 3.8 მლრდ დოლარი შეადგინა. მოცემულ დეფიციტს ნაწილობრივ მომსახურებით ვაჭრობის დადებითი სალდო აბალანსებს, დიდწილად ტურიზმიდან მიღებული სახსრების ხარჯზე (2.24 მლრდ დოლარი).

გიორგი ხიშტოვანი: „ხომ არ ჯობია, დავუტოვოთ მოქალაქეებსა და ბიზნესს მეტი ფული ჯიბეში“

– 5,1% საშუალოზე მაღალი მაჩვენებელია, ბევრი ქვეყანა ოცნებობს მსგავს მაჩვენებელზე, მაგრამ საქართველოსთვის ეს მაჩვენებელი საკმარისი არ არის. იმისთვის, რომ დავინახოთ საზოგადოების კმაყოფილება მეტი რეფორმა და ეკონომიკის სტრუქტურაში მეტი ცვლილებები და ახალი ინიციატივები გვჭირდება. სხვა შემთხვევაში ეს ზრდა, რომელიც მხოლოდ ქაღალდზეა დატანილი, საზოგადოებისთვის არ არის დამაკმაყოფილებელი, – განაცხადა რადიო კომერსანტის გადაცემაში „ეკონომისტის დრო ლევან ქისტაურთან ერთად“ PMC კვლევითი ცენტრის დირექტორმა გიორგი ხიშტოვანმა.

მანვე გადაცემაში საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლისა და ინკლუზიურობის პრობლემის შესახებ ისაუბრა.

– ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი იზრდება, მაგრამ პრობლემაა მისი ინკლუზიურობა. აუცილებელია დეტალებში ჩავიხედოთ და გავიგოთ, რომელია ის სექტორები, რომლებზეც მოდის ზრდა და რამ განაპირობა. შესაბამისად, მხოლოდ 5,1%-იანი ზრდა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ შეფასება გაკეთდეს. აუცილებელია შევხედოთ ზრდის მახასიათებლებს. რამდენიმე თვის წინ ორი კვარტლის შედეგები გამოაქვეყნა სტატისტიკის სამსახურმა და აშკარა იყო, რომ რამდენიმე მიმართულება, მათ შორის სოფლის მეურნეობა კლებით გამოირჩევა. ეს ნამდვილად დიდი პრობლემაა, სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულია მოსახლეობის ნახევარი. ზოგადი ზრდის მიუხედავად ეს სექტორი კლებულობს, ეს არის სიგნალი იმის, რომ რაღაც შესაცვლელია. მაღალი ეკონომიკური ზრდა ნამდვილად პოზიტიური მოვლენაა, თუმცა ცალსახაა, რომ ქვეყანას სჭირდება კიდევ უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდა ისე, რომ იგი იყოს ინკლუზიური. ამას აღიარებს მთავრობაც, ოპოზიციაც და საზოგადოებაც. ვიფიქროთ ეფექტიანობაზე და არა უბრალოდ ზრდაზე. იმაზე, თუ როგორ უნდა ხარჯოს მთავრობამ ფული ეფექტიანად. და თუ ის არ საჭიროებს იმ რაოდენობის თანხებს, რომელსაც იგი იღებს მოქალაქეებისგან და ბიზნესისგან, იქნებ დავსვათ დღის წესრიგში საკითხი ისე, რომ ხომ არ ჯობია, დავუტოვოთ მოქალაქეებსა და ბიზნესს მეტი ფული ჯიბეში, იქნებ ამით უფრო მეტად მოხდეს ეკონომიკური აქტივების გაძლიერება ქვეყანაში?! – ამბობს გიორგი ხიშტოვანი.

ოთარ ანგურიძე: „სესხების განულება ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელს წაახალისებს“

– ვფიქრობ, რომ მომავალ წელს ეკონომიკური მაჩვენებელი მაქსიმუმ 6%-მდე და მინიმუმ 5,5%-მდე აიწევს. ჩემი დაკვირვებით, სესხების განულება წაახალისებს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელს, რადგან იმ ადამიანებს, რომლებიც წარსულში ეწეოდნენ ფარულად აქტივობებს და არ იღებდნენ ღია შემოსავლებს, ახლა შესაძლებლობა ექნებათ, ჩაერთონ აქტიურ ეკონომიკურ ცხოვრებაში,“ – განაცხადა რადიო კომერსანტის გადაცემაში „ეკონომისტის დრო ლევან ქისტაურთან ერთად“ ოთარ ანგურიძემ, თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის გამგეობის თავმჯდომარემ.

– ვფიქრობ, საკმაოდ პოზიტიური წელია, როგორც ეკონომიკური ზრდის, ისე მაკროეკონომიკური თვალსაზრისით. წლის დასაწყისიდან მაღალი იყო ეკონომიკური მაჩვენებელი და საერთაშორისო სავალუტო ფონდმა წლის დასაწყისშივე შეცვალა პროგნოზი ზრდის თვალსაზრისით. ოქტომბერიც გამორჩეული თვე იყო, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების გამო, გაჩნდა მოლოდინი, რომ დაბალი ეკონომიკური ზრდა გვექნებოდა, ეკონომიკური სუბიექტები მაინც თამამად დებდნენ გარიგებს. ეკონომიკური ზრდა არ ნიშნავს იმას, რომ იგი თანაბრად აისახება საზოგადოების ყველა ნაწილზე. მისი ასახვა თანაბრად ვერ მოხდება მათ ფინანსებზე, ვერც შემოსავლებზე და ხელფასებზე. იმისთვის, რომ მოქალაქეებმა იგრძნონ ეს ზრდა, ისინი უნდა ჩაერთონ აქტიურად ეკონომიკურ პროცესებში. ამიტომ ჩვენ გვჭირდება უფრო მეტი რეგიონული განვითარება, რომ მოსახლეობა ადგილზე დასაქმდეს. ეს მარტო ჩვენი პრობლემა არაა, მთელ მსოფლიოშია ის ტენდენცია, რომ იზრდება ღარიბებსა და მდიდრებს შორის განსხვავება და ჩვენთვის ამ მიმართულებით ბევრი რამ არის გასაკეთებელი, – ამბობს ოთარ ანგურიძე.

საბურავების ქირაობა — რა ხერხებს მიმართავენ მძღოლები ტექდათვალიერების გასავლელად?

2018 წლიდან საქართველოში ავტომობილების ტექნიკური დათვალიერება ეტაპობრივად დაიწყო. პირველი იანვრიდან დაიწყო იმ ავტომანქანების ინსპექტირების პროცესი, რომლებიც, მანამდეც სავალდებულო შემოწმებას ექვემდებარებოდნენ. ესენია: სამგზავრო და სატვირთო ავტომობილები. პირველი ივლისიდან ინსპექტირება სავალდებულოა სახელმწიფო უწყებებისა და იურიდიული პირების კუთვნილი ავტომანქანებისთვის, ოქტომბრიდან კი – დიდი მოცულობის ძრავის მქონე ავტომობილებისთვის.

2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით კი, ინსპექტირებას გაივლის საქართველოს დანარჩენი ავტოპარკი – ანუ ყველა ავტომობილი.

უკვე თითქმის ერთი წელია, სავალდებულო ტექდათვალიერების სისტემა მუშაობს, ამ სფეროში ჩართულ ორგანიზაციები კი სისტემის ხარვეზებზე საუბრობენ.

ორგანიზაციაში „საქართველოს ალიანსი – უსაფრთხო გზებისთვის“ აცხადებენ, რომ არსებობს შემთხვევები და ვარაუდები, როცა მძღოლები ინსპექტირების გასავლელად გარკვეულ ხერხებს მიმართავენ.

– ვხვდებით პრეცედენტებს, როდესაც მძღოლები გარკვეული მანიპულაციებით გაატარებენ ტექინსპექტირებას ავტომობილებზე და 2-3 დღეში კვლავ არიან დამაბინძურებლები ან გზებზე საფრთხის შემქმნელები.

არის ვარაუდები, რომ ასეთი რამ ნაცნობობით კეთდება, მაგალითად, საბურავების ნათხოვრობა ან ქირაობა, არსებობს მინარევების მეშვეობით გამონაბოლქვის შემცირების შემთხვევები. ეს ინფორმაცია არსებობს და დიდი ეჭვია, რომ ეს კეთდება შიგდაშიგ, – აცხადებს ეკა ლალიაშვილი.

მისივე თქმით, იმისთვის, რომ მსგავს შემთხვევებს ტენდენციის სახე არ მიეცეს, საჭიროა დროული რეაგირება და მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება.

ლალიაშვილის აზრით, პროცესის ეფექტურობისთვის მნიშვნელოვანია თავად ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების მუდმივი და დაუგეგმავი მონიტორინგი, მათ შორის მისტიური კლიენტის სისტემის დანერგვა.

BM

შსს-მ ირანის 2 მოქალაქე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა საქართველოში დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შემოტანის ფაქტი აღკვეთეს.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა და მებაჟე ოფიცრებმა, ერთობლივად ჩატარებული ინტენსიური ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მოფრენის დარბაზში ირანის ორი მოქალაქე: 1996 წელს დაბადებული ნ.ქ. და 1989 წელს დაბადებული შ.ქ. დააკავეს. მათ ბრალი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვასა და საქართველოში უკანონოდ შემოტანაში ედებათ.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, ორივე ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას, 40 აბი „მეტადონი“ და ნარკოტიკული საშუალება „კოდეინის“ შემცველი 350 აბი ამოიღეს, რაზეც დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზა.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილებით, ასევე, 262-ე მუხლის მე-4 და მე-2 ნაწილებით.

ᲐᲡᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲗᲐᲛᲐᲨᲝᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲧᲘᲓᲕᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

პარლამენტის ბიუროს 10 დეკემბრის სხდომაზე, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შესატანი ცვლილებები წარედგინება, რომლის მიხედვით, პიროტექნიკის არასრულწლოვანისათვის მიყიდვა იკრძალება და ადმინისტრაციული წესით დასჯადი ხდება.

მომზადებული პროექტის გათვალისწინებით, პიროტექნიკური ნაკეთობის არასრულწლოვანისათვის მიყიდვა გამოიწვევს ფიზიკური პირის – 100 ლარით, ხოლო იურიდიული პირის 200 ლარით დაჯარიმებას.

აღნიშნული ქმედების ერთი წლის განმავლობაში განმეორებით ჩადენა კი, გამოიწვევს ფიზიკური პირის – 200 ლარით, ხოლო იურიდიული პირის 400 ლარით დაჯარიმებას.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენს და საქმეებს იხილავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი სამსახური ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

„პიროტექნიკურ ნაკეთობებზე არასრულწლოვანთა თავისუფალი წვდომის საფრთხე არაერთხელ დადასტურდა სადღესასწაულო დღეებში პიროტექნიკური ნაკეთობების აფეთქების ან აალების შედეგად არასრულწოვნების მიერ მიღებული სხეულის ნაკლებად მძიმე და მძიმე დაზიანების ფაქტებით. 2018 წლის იანვარში თბილისში მოქმედ სამედიცინო დაწესებულებებში პიროტექნიკით გამოწვეული ტრავმული დაზიანებებით ჰოსპიტალიზებული იყო 44 ადამიანი, მათ შორის 24 არასრულწლოვანი. 2017 წელის დასაწყისშიც პიროტექნიკის გამოყენების შედეგად 54 ადამიანი დაშავდა“, – აღნიშნულია პროექტის განმარტებით ბარათში.

კანონპროექტის ავტორები და ინიციატორები არიან დეპუტატები მარიამ ჯაში, სიმონ ნოზაძე, რევაზ არველაძე, გურამ მაჭარაშვილი, დიმიტრი ხუნდაძე, ენძელა მაჭავარიანი, სვეტლანა კუდბა, რატი იონათამიშვილი და ზაზა გაბუნია.

ᲕᲘᲜ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ

კანდიდატების შერჩევა იწყება

იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ახალი კონსტიტუციის შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისა და თავმჯდომარის შესარჩევად ემზადება.

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 18 მოსამართლე უნდა შეარჩიოს.

რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც პარლამენტს ასევე იუსტიციის საბჭომ უნდა წარუდგინოს, ამ თანამდებობაზე დიმიტრი გვრიტიშვილის, მზია თოდუას და მიხეილ ჩინჩალაძეს კანდიდატურები განიხილება.

ახალი კონსტიტუცია ამოქმედდება პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ, 17 დეკემბრიდან. სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების და თავმჯდომარის შერჩევას.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე თანამდებობიდან აგვისტოს დასაწყისში გადადგა. მას შემდეგ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ჯერჯერობით არავინ არის არჩეული.

19 ᲬᲚᲘᲡ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲔᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲦᲐᲛᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲨᲘ ᲜᲐᲠᲙᲝᲘᲜᲢᲝᲥᲡᲘᲙᲐᲪᲘᲐᲡ ᲔᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲐ

ნარკოტიკული საშუალების მიღების შედეგად 19 წლის ახალგაზრდა გარდაიცვალა. მან ორ ახალგაზრდასთან ერთად ნარკოტიკული ნივთიერება თბილისის ერთ-ერთ ღამის კლუბში მიიღო.

ორი ახალგაზრდა ამ დრომდე კომატოზურ მდგომარეობაშია.

შემთხვევა 8 დეკემბერს მოხდა.

„ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტის ცნობით, სამივე ახალგაზრდა ქუთაისის მკვიდრია.

გარდაცვლილი ახალგაზრდა უკვე გადაასვენეს ქუთაისში.

შსს 19 წლის ახალგაზრდის გარდაცვალებას ადასტურებს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ უწყებაში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

გარდაცვალების მიზეზების დასადგენად დანიშნულია ექსპერტიზა.

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲨᲘ ᲩᲐᲡᲐᲠᲘᲪᲮᲘ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ ᲒᲐᲥᲣᲠᲓᲕᲐ ᲪᲐᲓᲔᲡ

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ქურდობის მცდელობის ბრალდებით, 1997 წელს დაბადებული ლ.ფ. დააკავეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ბრალდებული იმ დროს დაკავეს, როდესაც ის რუსთავში, შარტავას გამზირზე მდებარე სწრაფი ჩარიცხვის აპარატის გაქურდვას ცდილობდა.

გამოძიება ქურდობის მცდელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 19 177-ე მუხლით მიმდინარეობს.

დანაშაული 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ᲥᲘᲜᲫᲛᲐᲠᲐᲣᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ ᲒᲐᲘᲢᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲙᲚᲐ

ქინძმარაულის ქუჩაზე მატარებელმა ახალგაზრდა მამაკაცი დაეჯახა ახალგაზრდა მამაკაცს, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა.

უბედური შემთხვევა 8 დეკემბერს მოხდა.

შს სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 275-ე მუხლის მესამე ნაწილით დაიწყო.

აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას რკინიგზის ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევაზე, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ᲛᲘᲜᲓᲘᲐ ᲒᲝᲒᲝᲭᲣᲠᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲐ ᲨᲔᲔᲤᲐᲠᲓᲐ



პრეზიდენტის სიძე, მინდია გოგოჭური, სასამართლომ წინასწარ პატიმრობაში დატოვა. მინდია გოგოჭურს გამოძიება იარაღის ჯგუფურად უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას ედავება.

დაკავებულის ინტერესების დამცველები მინდია გოგოჭურის გათავისუფლებას ითხოვდნენ. ადვოკატებმა მზადყოფნა გამოთქვეს, რომ გოგოჭურს საზღვარგარეთის პასპორტი ჩაებარებინა.

ადვოკატებმა მოსამართლეს ასევე შესთავაზეს აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო, თუმცა, არა ფულადი თანხის, არამედ ქონების უზრუნველყოფით. ადვოკატის განმარტებით, თბილისის ცენტრში გოგოჭურის სახელზე არის საკმაოდ ძვირადღირებული ბინა, რომელსაც გარანტად ჩადებდნენ.

საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

ბრალდების მხარე ამტკიცებდა, რომ გათავისუფლების შემთხვევაში გოგოჭურს, შესაძლოა, მოწმეებზე ზეწოლა მოეხდინა ან გამოძიებას მიმალვოდა.

ᲐᲑᲐᲨᲐᲨᲘ ᲞᲐᲢᲠᲣᲚᲘ ᲨᲐᲚᲕᲐ ᲛᲘᲛᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲭᲠᲔᲡ

აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ გეზათში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საპატრულო პოლიციის თანამშრომელი შალვა მიმინოშვილი ცივი იარაღით დაჭრეს. ის ქუთაისის საავადმყოფოშია გადაყვანილი.

დაშავებულია მეორე თანამშრომელიც, თუმცა მას მცირე ნაკაწრი აღენიშნება.

ექიმების თქმით, მიმინოშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. პაციენტს ოპერაცია მუცლის ღრუს რამდენიმე ორგანოზე ჩაუტარდა.

პაციენტი ამჟამად ქირურგიული დეპარტამენტის ინტენსიური თერაპიის პალატაშია მოთავსებული. მიმინოშვილი ჰოსპიტალში 2 დღის წინ საკუთარი ფეხით მივიდა. მას გულმკერდის და მუცლის ღრუში შემავალი ჭრილობა ჰქონდა და აღენიშნებოდა ტრავმულ-ჰემორაგიული შოკი.

გეზათში შემთხვევა მაშინ მოხდა, როდესაც საპატრულო პოლიციის თანამშრომლები შალვა მიმინოშვილი და ბაკურ ჭკადუა სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ და ქუჩაში პატრულირებდნენ.

მათ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი პირი შენიშნეს და გადამოწმების მიზნით მასთან მივიდნენ. მოქალაქე გოჩა ცხვედიანმა სამართალდამცველებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. პოლიციელები მის გადაყვანას შეეცადნენ, თუმცა მან შალვა მიმინოშვილს დანით მუცლის არეში ჭრილობები მიაყენა, მისი მეწყვილე კი ხელის არეში დაჭრა. თავდამსხმელს ამ დრომდე ეძებენ.

გამოძიება 117-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

ᲛᲪᲮᲔᲗᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲛ 40 ᲬᲚᲘᲡ ᲙᲐᲪᲘ ᲒᲐᲘᲢᲐᲜᲐ

მცხეთასთან ავტოავარია მსხვერპლით დასრულდა. მსუბუქი ავტომობილი ქვეითად მოსიარულე 40 წლამდე მამაკაცს დაეჯახა, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა.

მძღოლი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა და ამჟამად მისი სამძებრო სამუშაოები მიმდინარეობს.

შსს-ს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით დაიწყო. რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება და ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

გერმანელ ქრისტიან-დემოკრატებს ახალი ლიდერი ჰყავთ

ანგელა მერკელი გერმანული ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ლიდერის პოსტიდან გადადგა. პარტიის ყრილობამ მის ნაცვლად ანგერეტ კრამპ-კარენბაუერი აირჩია. ამიერიდან ქრისტიან-დემოკრატების ახალი ლიდერი სწორედ ის გახდა. კრამპ- კარენბაუერი კანცლერის პოსტზეც ერთ-ერთ ყველაზე რეალურ კანდიდატად ითვლება.

გერმანელი ქრისტიან-დემოკრატების ახალი ლიდერი გამოცდილი პოლიტიკოსია. ის 1962 წელს დაიბადა. 1981 წელს გახდა ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის წევრი.

კრამპ-კარენბაუერი ჯერ ტრირის, შემდეგ კი საარის უნივერსიტეტებში სწავლობდა, სადაც პოლიტიკურ მეცნიერებებს ეუფლებოდა. 1990 წელს პოლიტოლოგიის, შემდეგ კი სამართლის მაგისტრის წოდება მოიპოვა.

სანამ ქრისტიან-დემოკრატთა ლიდერი გახდებოდა, კრამპ-კარენბაუერმა პარტიაში რიგი საფეხური გაიარა. მუშაობდა პიუტლინგენის საქალაქო საბჭოში, იყო ლანგსტაგში ქრისტიან-დემოკრატების ლიდერის ასისტენტი, შემდეგ საარის მთავრობაში შინაგან საქმეთა, სპორტის, აგრეთვე ოჯახის საკითხთა მინისტრის პოსტები ეკავა. შემდეგ საარის პრემიერ-მინისტრიც გახდა, ხოლო 2011 წელს საარში ქრისტიან-დემოკრატების ლიდერად აირჩიეს.

გერმანელი ქრისტიან-დემოკრატების ლიდერს ჰყავს მეუღლე, ინჟინერი ჰელმუტ კარენბაუერი და 3 შვილი.

ანგერეტ კრამპ-კარენბაუერის კანდიდატურა ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ლიდერის პოსტზე ანგელა მერკელმა წამოაყენა. არჩევნებში გამარჯვების შემდეგ კრამპ-კარენბაუერმა საარის პრემიერის პოსტიდან გადადგომის შესახებ გამოაცხადა. მან საერთოდ დატოვა საარი და ბერლინში გადასახლდა.

კრამპ-კარენბაუერი გერმანელი პოლიტიკოსების ახალ თაობას განეკუთვნება, რომელიც რუსეთის მიმართ ბევრად ხისტად არის განწყობილი, ვიდრე მათი წინამორბედები. კრამპ-კარენბაუერმაც ქერჩის ყურეში რუსეთის აგრესიული ქმედება სასტიკად დაგმო.

– რუსეთი საერთაშორისო ნორმებს არას დაგიდევთ! ამას ბოლო უნდა მოეღოს, – განაცხადა მან.

კრამპ-კარენბაუერმა თქვა, რომ თუ მოსკოვი აზოვის ზღვის ანექსიას მოისურვებს, რუსეთის გემებს ევროპულ პორტებში შესვლა უნდა აუკრძალონ. ის მოსკოვის მიმართ დამატებითი სანქციების დაწესებასაც მოითხოვს. ანგელა მერკელი ამ საკითხში ბევრად უფრო ფრთხილია. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაასმა კი პირდაპირ განაცხადა, რომ ქერჩის სრუტეში მომხდარი ინციდენტის გამო ახალი სანქციების შემოღება არამიზანშეწონილად მიაჩნია.

ამრიგად, ქრისტიან-დემოკრატებს ახალი ლიდერი ჰყავთ. ეს გერმანელ პოლიტიკოსთა ახალი თაობის წარმომადგენელი ანგერეტ კრამპ-კარენბაუერია. მომავალი გვიჩვენებს, გამკაცრდება თუ არა გერმანიის პოლიტიკა მოსკოვის მიმართ.

ტრამპი ტილერსონის წინააღმდეგ

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ყოფილი სახელმწიფო მდივანი რექს ტილერსონი მკაცრად გააკრიტიკა. მიზეზი ტილერსონის ინტერვიუ გახდა. ექსსახელმწიფო მდივანმა ტრამპს უდისციპლინო უწოდა:

– ბიზნესსტრუქტურებში მუშაობის შემდეგ ტრამპის სტილთან შეგუება ძალზე გამიჭირდა! – თქვა ტილერსონმა.

მან აღნიშნა, რომ ტრამპმა არ იცის მოსმენა, არ უყვარს კითხვა, მასალებს ზერელედ ეცნობა. სამაგიეროდ, ხელქვეითებისგან უსიტყვო მორჩილებას მოითხოვს.

– ასეთ კაცთან მუშაობა ძალიან ძნელია, – განაცხადა ტილერსონმა.

პასუხად ტრამპმა ყოფილ სახელმწიფო მდივანს ზარმაცი და გონებაჩლუნგი უწოდა.

– ტილერსონიც თანამდებობიდან დავითხოვე, რაც სრულიად გამართლებული იყო, – ამბობს ტრამპი.

უკრაინაში იულია ტიმოშენკო ლიდერობს

31 მარტს უკრაინა ახალ პრეზიდენტს აირჩევს. ლიდერობას კვლავ იულია ტიმოშენკო ინარჩუნებს. მას 21% უჭერს მხარს. პეტრო პოროშენკოს რეიტინგი გაიზარდა. მან 12%-ს მიაღწია და პოროშენკომაც მეორე ადგილზე გადაინაცვლა. შემდეგ მოდიან ყოფილი თავდაცვის მინისტრი ანატოლი გრიცენკო და რადიკალური პარტიის ლიდერი ოლეგ ლიაშკო.

პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოს ბოიკოს რეიტინგი 7%-დან 5%-მდე დაეცა. სავარაუდოდ, ბოიკო მეორე ტურში ვერ მოხვდება.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ პრეზიდენტობისათვის ძირითადი ბრძოლა პოროშენკოსა და ტიმოშენკოს შორის გაიმართება.

პოლიტოლოგი ევგენი მაგდა თვლის, რომ ტიმოშენკოს პრეზიდენტად არჩევა უკრაინის საგარეო კურსს არ შეცვლის. უკრაინელთა 81% რუსეთს აგრესორად მიიჩნევს. თანამედროვე უკრაინაც არ მიიღებს მშვიდობის იმ სქემას, რომელსაც პუტინი სთავაზობს და რომელიც მოკლედ შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: უკრაინამ ყირიმის რუსეთის შემადგენლობაში შესვლა უნდა აღიაროს, უნდა მოხდეს უკრაინის ფედერალიზაცია, უარი ითქვას ნატოში ან ევროკავშირში გაწევრიანებაზე.

ბრიტანეთის მთავრობამ რუსი ოლიგარქების შავი სია დაამტკიცა

ინგლისის დაზვერვამ პრემიერ ტერეზა მეის გადასცა რუსი ოლიგარქების შავი სია, რომელიც 6 პირისგან შედგება.

ეს ხალხი დაახლოებულია პუტინთან და რუსეთის პრეზიდენტის აგრესიული საგარეო კურსის შემუშავება-გატარებაში აქტიურად მონაწილეობს.

ტერეზა მეიმ სია მოიწონა. მან თქვა, რომ ხსენებულ პირებს უნდა აეკრძალოთ ინგლისის ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილება ან ბიზნესის წარმოება.

მეი აცხადებს, რომ ყველაფერს იღონებს საიმისოდ, რათა შავ სიაში მოხვედრილმა რუსმა ოლიგარქებმა ვერც ევროპის სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე შეძლონ თავისუფლად გადაადგილება ან ბიზნესის წარმოება.

საფრანგეთში საპროტესტო აქციები განახლდა

საფრანგეთში საპროტესტო აქციები განახლდა.

გამოსვლები მოხდა პარიზში, კალეში, ნანტში და სხვაგან.

პრეზიდენტმა მაკრონმა მოსახლეობას ტელევიზიით მიმართა და განაცხადა, რომ ხელისუფლება ანარქიას არ დაუშვებს და ყველა, ვინც საზოგადოებრივ წესრიგს დაარღვევს, დაისჯება.

აქციების ფონზე დაიხურა ლუვრი, ეიფელის კოშკი, პოპულარული სავაჭრო ცენტრები.

პარიზის აქცია აშკარად პროვოკაციულ ხასიათს ატარებდა. მანიფესტანტებმა წითელი დროშა ააფრიალეს. დემონსტრანტებს შორის აღმოჩნდნენ ისინიც, ვინც დონეცკ-ლუგანსკის ფსევდორესპუბლიკების ალამიც გამოიტანა.

დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის მოხდა შეტაკება. პოლიციამ ხელკეტები და ცრემლმდენი გაზი გამოიყენა. დაკავებულია 1000-ზე მეტი მანიფესტანტი.

ლიუდმილა ალექსეევა გარდაიცვალა



გარდაიცვალა ცნობილი დისიდენტი ლიუდმილა ალექსეევა (ქალიშვილობის გვარი სტავინსკაია).

ის 1927 წელს დაიბადა. დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტი, შემდეგ – ასპირანტურა. წინ ბრწყინვალე კარიერა ელოდა. მიუხედავად ამისა, ალექსეევამ ამაზე უარი განაცხადა და დისიდენტურ მოძრაობაში ჩაება.

ალექსეევა მონაწილეობდა არალეგალურ გამოცემა „მიმდინარე ამბების ქრონიკის“ მუშაობაში, იყო მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფის ერთ-ერთი დამაარსებელი.

დისიდენტური მოღვაწეობისთვის არაერთგზის იყო დაპატიმრებული, 1977 წელს კი იძულებული გახდა, ემიგრაციაში გამგზავრებულიყო.

ალექსეევა თანამშრომლობდა რადიო „თავისუფლებასთან“, ინტენსიურად მონაწილეობდა ყველა ანტისაბჭოურ შეკრებასა თუ აქციაში.

1993 წელს ალექსეევა რუსეთში დაბრუნდა, სადაც კვლავ ადამიანის უფლებების დაცვას განაგრძობდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ტელეფონს ჩაშტერებული მამაკაცი არხში გადავარდა

ბრიტანეთის ქალაქ ნოტინჰემში მამაკაცი საკუთარ ტელეფონს ჩააშტერდა, რა დროსაც არხი ბილიკად მოეჩვენა და წყალში გადავარდა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ვიდეორგოლი ერთ-ერთი პაბის გარე სათვალთვალო კამერებმა გადაიღეს. ვიდეოზე ჩანს, რომ მამაკაცი მიდის არხთან, რომელიც ჩამოცვენილი ფოთლებითაა მოფენილი, ისე, რომ ტელეფონს ჩაშტერებული თავს მაღლა არ სწევს. ის ნაბიჯს წინ დგამს, წყალში ვარდება და ფართხალს იწყებს. მასთან მისახმარებლად ორმა ადამიანმა მიირბინა და წყლიდან ნაპირზე ამოიყვანა.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ბრიტანელმა ფოთლებით მოფენილი არხი ბილიკად მიიჩნია და არ დაუხედავს, თუ სად ადგამდა ფეხს.

ამ ინციდენტის შემდეგ ქალაქის ხელისუფლებამ მცხოვრებლებს მოუწოდა, მეტი ყურადღება გამოიჩინონ არხთან სეირნობის დროს და ასევე თავი შეიკავონ მის ნაპირთან ალკოჰოლური სასმელების მიღებისგან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ბოლო ევროსაგზური ჩიხურას ერგო

ჩიხურა-სიონი 2:1

ივანწმინდა. ცენტრალური

1:0, 2:0 გაბედავა (16პ, 31), 2:1 ლეჟავა (85)

ჩიხურა: ჰამზიჩი, მირცხულავა, მარკოზაშვილი, მაისაშვილი, გაბედავა, ლექვთაძე (ბუხაიძე 90), კახაბრიშვილი, ბუღრიძე (სარდალიშვილი 83), კაკუბავა, ჩიკვაიძე, მეგრელიშვილი (დობროვოლსკი 90)

სიონი: ჩოჩიშვილი, გურეშიძე (მინდორაშვილი 75), ნოზაძე, ქიქავა, ხმალაძე, უგულავა, დ.კირკიტაძე (ისიანი 46), მახარობლიძე (მანაგაძე 64), ლეჟავა, ხეცურიანი, მიქაბერიძე

ეროვნული ლიგის ბოლო ტურის ინტრიგა მე-4 ადგილი იყო. ადგილი, რომელიც ევროსაგზურს იძლეოდა.

მას შემდეგ, რაც ქუთაისის ტორპედომ ქვეყნის თასი მოიგო და მე-3 ადგილი გაინაღდა, ევროტურნირებზე გამსვლელი ადგილისთვის საჩხერის ჩიხურა და გორის დილა იბრძოდნენ.

იმერული კლუბი საკუთარ თავზე იყო დამოკიდებული – მოიგებდა შეხვედრას? ევროთასებზე ითამაშებდა. ასეც მოხდა – ჩიხურას ბომბრდირმა გიორგი გაბედავამ პირველივე ტაიმში 2 გოლი გაიტანა და ლაშა ლეჟავას გვიანი გოლი მხოლოდ სანუგეშოდ თუ გამოასგებოდა სიონსაც და დილასაც.

დინამო-დილა 1:2

თბილისი. დინამო არენა

0:1 კოვტალიუკი (18), 0:2 გადრანი (57), 1:2 შულაია (58)

დინამო: სიკაჩი, თოთაძე, კობოური, ზარია (ქარდდავა 75), კუცია (ივანისენია 63), ზივზივაძე, შულაია, ქოჩლაძე (რუხაია 46), ხარაბაძე, შენგელია, ძოწენიძე

დილა: გუგეშაშვილი, გ.გადრანი, ჩადუნელი, რაზმაძე, ნ.ქავთარაძე, ნონიკაშვილი, კორიფაძე, კოვტალიუკი, ლემპტი (ნონდი 46), სანტოსი (სუხიაშვილი 89), რიბეირო (რაჟამაშვილი 78)

დილას იმედი ჰქონდა, რომ თუ თავად დინამოს დაამარცხებდა და ჩიხურა სიონთან წაიფორხილებდა, ევროსაგზურს დაეუფლებოდა. ამიტომაც მოედანზე მოსაგებად გავიდა. თუმცა, მატჩი ორივე გუნდმა დაბალ ტემპში დაიწყო.

საბოლოოდ, ეს მატჩიდილას სცენარით კი წარიმართა, მაგრამ სრული სცენარი არ შედგა. ანგარიში ი სტუმრებმა გახსნეს – გოლი მე-18 წუთზე მიკოლა კოვტალიუკმა გაიტანა. თბილისელებმა კი რეალური სახიფათო მომენტი ტაიმის ბოლოს შექმნეს, როდესაც ბუდუ ზივზივაძის გასროლილი ბურთი გორელთა კარის ძელმა უკუაგდო.

მე-2 ნახევარი გაცილებით მაღალ ტემპში დაიწყო. 57-ე წუთზე გიორგი გადრანმა ისარგებლა დაცვის ხაზის შეცდომით და დილას უპირატესობა 2-ბურთიანი გახადა. აკაკი შულაიამ ერთ წუთში ზუსტი თავურით ერთი გოლის გაქვითვა მოახერხა.

ამის შემდეგ გიორგი ზარიას და ლევან შენგელიას სახიფათო დარტყმებია გამოსარჩევი, მაგრამ ორივე მომენტში ბურთი ასცდა გორელთა კარს. საბოლოოდ აღარაფერი შეცვლილა და დინამომ სეზონი მეორე ადგილზე დაასრულა, ხოლო დილამ – მე-5.

სამტრედია-საბურთალო 1:4

ზესტაფონი. დავით აბაშიძე

0:1 ვოლკოვი (7), 0:2 ტატანაშვილი, 0:3 კოხრეიძე (63), 0:4 თარგამაძე (72), 1:4 ენდელაძე (79)

სამტრედია: დ.კუპატაძე, გურული (ბურკაძე 46), მამასახლისი, გორელიშვილი, ლიპარტია (ერისთავი 71), ახალაძე, ოლხოვი, ფანცულაია, კერძავაძე, ფატჩი, ენდელაძე

საბურთალო: ლ.კუპატაძე, მარგველაშვილი, ნადარაია, თარგამაძე, ვოლკოვი (კოხრეიძე 46), ცნობილაძე (ჩაბრაძე 43), ტატანაშვილი, ტერა, გვარაძე, ალთუნაშვილი (გოშთელიანი 70), მალი

საბურთალო ჩემპიონის რანგში ეწვია სამტრედიას და ეს მატჩის მიმდინარეობის პროცესშიც დაამტკიცა. გიორგი ჭიაბრიშვილის შეგირდებმა იოლად და დიდი ანგარიშით იმარჯვეს – 4:1.

72-ე წუთისთვის ყველაფერი გადაწყვეტილი – ვოლკოვის, ტატანაშვილის, კოხრეიძისა და თარგამაძის გოლებით საბურთალო 4:0-ს იგებდა. მხოლოდ მატჩის მიწურულს შეძლო ენდელაძემ პრესტიჟის გოლის გატანა.

საბურთალომ სეზონი დაასრულა, სამტრედიას კი, ფლეი აუტში მოუწევს ბრძოლა ელიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის.

ტორპედო-კოლხეთი 4:0

ქუთაისი. რამაზ შენგელია

1:0 ჰასელბაინკი (25), 2:0, 3:0 წიქარიძე (29, 40), 4:0 ლაჩნი (87)

ტორპედო: ქვილითაია, ხურცილავა, აზაკცი, გეგეჭკორი, ქომაძე (დოლიძე 46), მარინი, კუხიანიძე, წიქარიძე, გიგაური, ჰასელბაინკი (ლაჩნი 46), კუტალია (ჰლინკა 67)

კოლხეთი: ნანავა, კერელეიშვილი, ძაძამია, აფხაზავა, კაბორე, კოკაია, ჭეჭელაშვილი, შალიკაშვილი (მახარაძე 46), ტყემალაძე, აშორტია (ფენდერავა 61), იმნაძე (გოგიძე 68)

ტორპედო მყარად იჯდა მე-3 ადგილზე – სხვა შანსი იმერულ გუნდს არ ჰქონდა. თუმცა, ფოთის კოლხეთთან ჩემპიონატის ბოლო მატჩი საკუთარი მაყურებლის წინაშე ჩინებულად ითამაშა და 4:0 მოიგო.

ამ მატჩში გავიდა პირველი სურინამული გოლი საქართველოს ჩემპიონატში – კოლხებს გლეოფილიო ჰასელბაინკმა შეუგდო. რასაც თენგიზ წიქარიძის დუბლი და სლოვაკი მილოშ ლაჩნის გოლები მიჰყვა.

ტორპედო და კოლხეთი ეროვნულ ჩემპიონატში მინიმუმ ერთი წელი ვეღარ შეხვდებიან – ფოთელები უმაღლეს ლიგას დაემშვიდობნენ.

ლოკომოტივი-რუსთავი 1:0

თბილისი. მიხეილ მესხი

1:0 შონია (10პ)

ლოკომოტივი: შეროზია, ძებნიაური, ანდრონიკაშვილი, ბუიღლიშვილი, გაბაძე, უბილავა, შონია, კიკაბიძე (სამურკასოვი 63), გრძელიძე (გავაშელიშვილი 69), ინჯგია, ოზბეთელაშვილი (შეყილაძე 60)

რუსთავი: მიგინეიშვილი, კვირკველია, ხუბუტია, პაპავა, სილაგაძე, ჩოგაძე (გუჯაბიძე 79), ფონიავა (სამადაშვილი 88), ზვიადაძე, თ.კირკიტაძე (თარხნიშვილი 62), ლობჯანიძე, ქავთარაძე

არაფრისმომცემ მატჩში მასპინძლებმა მინიმალური სხვაობით იმარჯვეს. არადა, თამაში ისე დაიწყო, რომ გულშემატკივარი ბევრ გოლს ელოდებოდა – მე-10 წუთზე თეიმურაზ შონიამ 11 მეტრიდან ანგარიში გახსნა. თუმცა, სულ ეს იყო და მატჩიც ასე მორჩა...

საბოლოო ცხრილი:

1.საბურთალო	36	24	7	5	64-29	79
2.დინამო	36	21	6	9	73-38	69
3.ტორპედო	36	20	9	7	66-25	69
4.ჩიხურა	36	19	7	10	54-33	64
5.დილა	36	17	12	7	60-40	63
6.ლოკომოტივი	36	12	8	16	43-55	44
7.რუსთავი	36	8	13	15	33-44	37
8.სიონი	36	8	7	21	39-65	31
9.სამტრედია	36	4	9	23	28-81	21
10.კოლხეთი	36	4	8	24	26-76	14

შენიშვნა: კოლხეთს დაკლებული აქვს 6 ქულა

ლოკომოტივმა იტალიაში ბონუსით იმარჯვა

ფიამე ორო-ლოკომოტივი 22:29

იტალია. რომი

ფიიამე ორო: ბიონდელი, ჯ.დონოფრიო, კვარტაროლი (ბუშემა 76), მასარო (ფორკუჩი 67), ბაკეტი, ამბროზინი, მარინარო; კუდინი (მორიკონი 57) ნოჩერა, ფრანიტო (უ.დონოფრიო 61), მაკქართი (ფავარო 73), ბიანკი, კრისტიანო, კაფინი

ლოკომოტივი: გოგოლაშვილი (ხელაია 33), ძნელაძე, გაგოშვილი, ტალახაძე (გედეხაური 67), კავთიძე, წიკლაური, ბეგაძე, ვ.ქვათაძე (მაჭარაშვილი 51) ი.ქვათაძე (ჭავჭავაძე 54) ქართველიშვილი (გორგასლიძე 56) კოპაძე (ამირანაშვილი 56) არაბული (გეგია 41) გასვიანი ყველაიძე (დარასელია 54) ზვ.მაისურაძე

იტალიაში „კონტინენტის ფარზე“ ორრაუნდიან ტურნეში მყოფმა თბილისის ლოკომოტივმა პირველი თამაში ფიამე ოროსთან ბონუსით მოიგო.

„ჩელენჯ ქაფის“ შესარჩევი ტურნირის მეორე მატჩს, საქართველოს მრავალგზის და მოქმედი ჩემპიონი რომში მართავდა და კონკრეტული მიზანი ჰქონდა – მოგება და მინიმუმ 4 ლელოს გატანა, რათა სამგუნდიან ჯგუფში პირველი ადგილის დაკავების შანსი შეენარჩუნებინა.

თბილისელებმა თამაში თამამად დაიწყეს, მეტოქე ძალისმიერ თამაშში თავიდანვე დაჩაგრეს, ფაზები აკინძეს, ყველა მიძალებაზე უპირატესობის ხაზი გადაკვეთეს და ფარნავაზ გასვიანმა თანაგუნდელის დახმარებით ლელო გაიტანა, ხოლო ბექა წიკლაურმა გარდასახა – 7:0.

მასპინძლებმა მალევე გვიპასუხეს, მორკინალების დარტყმის შემდეგ ბურთი ხაზზე გავიდა და ლელოს ზუსტი გარდასახვა მოყვა.

ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობის ფონზე, სტუმრებმა არაერთი სალელოვე შანსი შექმნეს, მაგრამ შესვენებამდე მათი რეალიზება ვერ მოახერხეს, აქეთ ჯარიმა მიიღეს და ტაიმი 7:10 დათმეს.

მეორე ტაიმი წიკლაურის ჯარიმით დაიწყო და ანგარიში გათანაბრდა, თუმცა ფიამე ორომ 52-ე წუთზე საკუთარი ნახევრიდან წამოწყებული კონტრშეტევა ლელოთი დაასრულა და ლიდერობა დაიბრუნა. 3 წუთში მასპინძლებმა ხელდახელ შეტევით მესამე ლელო გაიტანეს, ამჯერად გარდასახეს კიდეც და ლოკომოტივი 10:22 ჩამორჩა.

თბილისელები არ დანებდნენ, დასკვნით 20 წუთში ინიციატივა დაიბრუნეს და მატჩის ბედიც მოატრიალეს. ჩვენმა შერკინებამ მეტოქისა დაჯაბნა, დაცვამ გადაწყობა ვეღარ მოახერხა და რაქიდან მიღებული პირველივე ბურთი 66-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა ლევან დარასელიამ დაამიწა, ხოლო წიკლაურმა გარდასახა.

შეცვლებმა ამ თამაშში სრულად გაამართლა და მომდევნო 2 ლელოც მატჩში მარქაფიდან ჩართული მორაგბეების ანგარიშზეა. ცენტრში კარგი შეტევის შემდეგ, წიკლაურის გრძელი პასი გიორგი გედეხაურმა შეირგო და 73-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა. გარდასახვა არაზუსტი იყო, მაგრამ დაგეგმილი ბონუსით მოგებისთვის, ლოკომოტივს ნებისმიერ შემთხვევაში ლელო ჭირდებოდა.

ფიამე ორომ ორჯერ სცადა წინ გასვლა, მაგრამ ჯარიმები ვერ გაიტანა. გაწითლებულ დროზე იტალიელებმა საკუთარი 22-იდან ხელით ცადეს შეტევის წამოწყება, ბურთი დაკარგეს, ლევან ჭავჭავაძემ ხაზი გაჭრა, დაახლოებით 25 მეტრი ირბინა და წიკლაურმაც გარდასახვით საბოლოო შედეგი დაფიქსირა – 29:22.

ლოკომოტივმა „კონტინენტის ფარზე“ ისტორიული, პირველი გამარჯვება მოიპოვა და ჯგუფიდან გასვლის შანსი შეინარჩუნა.

საქართველოს ჩემპიონი იტალიაში რჩება და 15 დეკემბერს ჯგუფის ლიდერ კალვიზანოს შეხვდება.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

შედეგები

8 დეკემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. ჰემპიონიგა

ბორნმუთი-ლივერპული 0:4
არსენალი-ჰადერსფილდი 1:0
ბარნლი-ბრაიტონი 1:0
ვესტ ჰემი-კრ.პალასი 3:2
კარდიფი-საუთჰემპტონი 1:0
მანჩესტერი-ფულემი 4:1
ჩელსი-სიტი 2:0
ლესტერი-ტოტენჰემი 0:2

სატურნირო ცხრილი:

1.ლივერპული	16	13	3	0	34:6	42
2.სიტი	16	13	2	1	45:9	41
3.ტოტენჰემი	16	12	0	4	30:16	36
4.ჩელსი	16	10	4	2	33:13	34
5.არსენალი	16	10	4	2	35:20	34
6.მანჩესტერი	16	7	5	4	28:26	26
7.ევერტონი	15	6	5	4	21:17	23
8.ბორნმუთი	16	7	2	7	25:26	23
9.ლესტერი	16	6	4	6	21:20	22
10.ვესტ ჰემი	16	6	3	7	23:25	21
11.ბრაიტონი	16	6	3	7	19:22	21
12.უოტფორდი	15	6	2	7	18:21	20
13.ვულვზი	15	5	4	6	15:18	19
14.კარდიფი	16	4	2	10	15:30	14
15.ნიუკასლი	15	3	4	8	12:20	13
16.კრ.პალასი	16	3	3	10	13:23	12
17.ბარნლი	16	3	3	10	15:32	12
18.ჰადერსფილდი	16	2	4	10	10:27	10
19.საუთჰემპტონი	16	1	6	9	13:30	9
20.ფულემი	16	2	3	11	16:40	9

ინგლისი. ჩემპიონიგა

ბირმინგემი-ბრისტოლი 0:1
ბრენტფორდი-სუონსი 2:3
ლიდსი-ქარ 2:1
მიდლსბრო-ბლექბერნი 1:1
მილუოლი-ჰალი 2:2
ნორვიჩი-ბოლტონი 3:2
ნოტინგემი-პრესტონი 0:1
სტოკი-იფსვიჩი 2:0
უიგანი-დერბი 0:1
უენსდი-როტერჰემი 2:2
რედინგი-შეფილდი 0:2

ესპანეთი. ჰიმეჩა დივიზიონი

ატლეტიკო-ალავესი 3:0
ვალენსია-სევილია 1:1
ვილიარეალი-სელტა 2:3
ესპანიოლი-ბარსელონა 0:4

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	15	9	4	2	41:19	31
2.სევილია	15	8	4	3	27:16	28
3.ატლეტიკო	15	7	7	1	21:10	28
4.ალავესი	15	7	3	5	18:17	24
5.რეალი	14	7	2	5	22:19	23
6.ხეტაფე	15	5	6	4	16:12	21
7.ლევანტე	14	6	3	5	23:21	21
8.ხირონა	14	5	6	3	17:16	21
9.ესპანიოლი	15	6	3	6	17:20	21
10.სელტა	15	5	5	5	28:24	20
11.სოსიედადი	14	5	4	5	17:16	19
12.ბეტისი	14	5	4	5	14:17	19
13.ვალენსია	15	3	9	3	12:12	18
14.ეიბარი	14	5	3	6	15:19	18
15.ვალიადოლიდი	14	4	5	5	11:14	17
16.ლეგანესი	15	4	5	6	15:19	17
17.ვილიარეალი	15	3	5	7	15:19	14
18.ბილბაო	14	1	8	5	14:23	11
19.რაიო	14	2	4	8	15:28	10
20.უესკა	14	1	4	9	12:29	7

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

დეპორტივო-ნუმანსია 2:2
ხიმნასტიკი-გრანადა 0:1
ალბასეტე-ოსასუნა 2:2
მალიორკა-მალაგა 1:2
ოვიედო-ალმერია 1:2

გერმანია. ბუნდესლიგა

შალკე-დორტმუნდი 1:2
ბაიერნი-ნიურნბერგი 3:0
ლევერკუზენი-აუგსბურგი 1:0
ფრაიბურგი-ლაიპციგი 3:0
ვოლფსბურგი-ჰოფენჰაიმი 2:2
ჰერტა-აინტრახტი 1:0

სატურნირო ცხრილი:

1.დორტმუნდი	14	11	3	0	39:14	36
2.ბაიერნი	14	8	3	3	28:18	27
3.გლადბახი	13	8	2	3	30:16	26
4.ლაიპციგი	14	7	4	3	24:13	25
5.აინტრახტი	14	7	2	5	30:17	23
6.ჰერტა	14	6	5	3	22:20	23
7.ჰოფენჰაიმი	14	6	4	4	30:21	22
8.ვერდერი	14	6	3	5	24:23	21
9.ვოლფსბურგი	14	5	4	5	20:20	19
10.მაინცი	13	5	3	5	12:14	18
11.ლევერკუზენი	14	5	3	6	20:25	18
12.ფრაიბურგი	14	4	5	5	19:22	17
13.შალკე	14	4	2	8	15:20	14
14.აუგსბურგი	14	3	4	7	20:23	13
15.შტუტგარტი	13	3	2	8	9:26	11
16.ნიურნბერგი	14	2	5	7	14:33	11
17.ჰანოვერი	13	2	3	8	15:28	9
18.ფორტუნა	14	2	3	9	14:32	9

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ფიურტი-აუე 0:5
დარმშტადი-ინგოლშტადი 1:1
ჰაიდენჰაიმი-დუისბურგი 4:1

იტალია. სერია ა

ნაპოლი-ფროზინონე 4:0
კალიარი-რომა 2:2
სამპდორია-ლაციო 2:2

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	15	14	1	0	32:8	43
2.ნაპოლი	15	11	2	2	32:14	35
3.ინტერი	15	9	2	4	27:13	29
4.მილანი	14	7	4	3	24:18	25
5.ლაციო	15	7	4	4	22:18	25
6.რომა	15	5	6	4	26:20	21
7.ტორინო	14	5	6	3	19:16	21
8.სამპდორია	15	5	5	5	23:19	20
9.სასუოლო	14	5	5	4	21:19	20
10.პარმა	14	6	2	6	15:18	20
11.ატალანტა	14	5	3	6	26:19	18
12.ფიორენტინა	14	4	6	4	18:13	18
13.კალიარი	15	3	8	4	15:19	17
14.ჯენოა	14	4	3	7	19:29	15
15.სპალი	14	4	2	8	13:23	14
16.უდინეზე	14	3	4	7	12:18	13
17.ემპოლი	14	3	4	7	17:25	13
18.ბოლონია	14	2	5	7	12:22	11
19.ფროზინონე	15	1	5	9	11:33	8
20.კიევო	14	0	5	9	11:31	2

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

იტალია. სერია ბ

პადოვა-პალერმო 1:3
ვენეცია-ასკოლი 1:0
ლეჩე-პერუჯა 0:0
სპეცია-კოზენცა 4:0

საფრანგეთი. 1 ლიგა

გენგამი-ამიენი 1:2
რენი-დიჟონი 2:0

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	16	14	2	0	49:10	44
2.ლილი	16	9	3	4	24:14	30
3.მონპელიე	16	8	5	3	24:12	29
4.ლიონი	16	8	4	4	26:20	28
5.მარსელი	16	8	2	6	29:25	26
6.სტ.ეტიენი	16	7	5	4	24:21	26
7.ნიცა	16	7	4	5	12:14	25
8.ნიმი	16	6	5	5	24:21	23
9.რენი	17	6	5	6	23:25	23
10.სტრასბური	16	5	7	4	25:19	22
11.ბორდო	16	5	6	5	19:19	21
12.რეიმსი	16	5	6	5	10:14	21
13.ნანტი	16	5	5	6	24:24	20
14.ანჟე	16	4	6	6	19:21	18
15.ტულუზა	16	4	6	6	14:24	18
16.დიჟონი	17	4	4	9	16:28	16
17.ამიენი	17	5	1	11	16:30	16
18.კაენი	16	2	7	7	13:20	13
19.მონაკო	16	3	4	9	16:24	13
20.გენგამი	17	1	5	11	12:34	8

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

ტილბურგი-ჰერენვენი 1:5
ზვოლე-აიაქსი 1:4
დენ ჰააგი-გრაადფსხაპი 0:0

პორტუგალია. პირველი ლიგა

ბელენენსეში-შავიში 1:0
ტონდელა-ბრაგა 0:1
სეტუბალი-ბენფიკა 0:1

ხუსეთი. პირველი ლიგა

კრილია-როსტოვი 1:0
ცსკა-ენისეი 2:1
ლოკომოტივი-ორენბურგი 2:1
ანჟი-სპარტაკი 0:3

შვეიცარია. სუპერლიგა

სტ.გალენი-ქსამაქსი 3:2
იანგ ბოიზი-თუნი 3:2

შოტლანდია. პირველი ლიგა

აბერდინი-სტ.ჯონსონი 0:2
ჰამილტონი-ჰიბერნიანი 0:1
ლივინგსტონი-სტ.მირენი 3:1
სელტიკი-კილმარნოკი 5:1
ჰარტსი-მოზერველი 1:0

ავსტრია. ბუნდესლიგა

ადმირა-ზალცბურგი 2:2
ვოლფსბერგერი-ლინცერი 1:1
სტ.პოლენი-ალტახი 2:1

ბელგია. 1 დივიზიონი

გენკი-კორტრაიკი 1:1
ოსტენდე-ლოკერენი 1:0
მუსკრონი-ვარეგემი 0:0
სტ.ტრუიდენი-სტანდარდი 1:1

საბერძნეთი. სუპერლიგა

ასტერასი-იანინა 1:0
აეკი-ლამია 2:0

თურქეთი. სუპერლიგა

სივასი-გიოზთეფე 2:0
ტრაბზონი-ქონია 3:0
გალათასარაი-რიზე 2:2

ჩეხეთი. 1 ლიგა

ბანიკი-ბოჰემიანსი 2:0
კარვინა-იაბლონეცი 2:1
სიგმა-სლოვაკეკო 1:0
სლავია-ბოლესლავი 3:2

პოლონეთი. ექსტრაკლასი

პოგონი-სოსნოვეცი 1:0
კორონა-პლოცკი 2:2
პლოცკის ორივე გოლი გიორგი მერებაშვილმა გაიტანა
ვისლა-იაგელონია 2:2

უკრაინა. პირველი ლიგა

ზორია-არსენალი 3:0
კარპატი-დინამო 0:4
ჩერნომორეცი-ვორსკლა 0:1

დანია. სუპერლიგა

ჰობრო-სონდერიისკე 0:0

გურამ გოგიჩაშვილს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ

ახალგაზრდა ბორჯღალოსან გურამ გოგიჩაშვილს, რომელიც პარიზულ რასინგ 92-ს ზაფხულში, მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატის შემდეგ შეუერთდა, მსოფლიოს საუკეთესო ბურჯობას უწინასწარმეტყველებენ. ფრანგულმა სარაგბო პორტალმა რაგბირამამ ქართველს სპეციალური სტატია მიუძღვნა სათაურით – გურამ გოგიჩაშვილი, მსოფლიოს მომავალი საუკეთესო ბურჯი?

სტატიაში 20 წლის მორაგბის მიმართ საქებარ სიტყვებს არ იშურებენ რასინგის მწვრთნელი, სპორტული დირექტორი და კაპიტანი.

– გურამ გოგიჩაშვილი რასინგელთა რიგებს მხოლოდ მიმდინარე სეზონის წინ შეუერთდა, თუმცა, მოკლე ხანში გუნდის როტაციაში მყარად ჩაჯდა. ილ-დე-ფრანსის ხელმძღვანელობასა და პერსონალს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ეს ბიჭი თავის პოზიციაზე სიტყვას მსოფლიო დონეზე იტყვის. რამდენმა ადამიანმა იცოდა გურამის შესახებ ტოპ 14-ს მიმდინარე სეზონის დაწყებამდე? ცხადია, მას იცნობდნენ საქართველოში და თვალყურს ადევნებდნენ ახალგაზრდული ნაკრებების დონეზე. გოგიჩაშვილს ბოდენ ბარეტისა და ჯონ სექსტონის დარი პოპულარობა ჯერ არ მოუპოვებია, მაგრამ რამდენიმე თვეში ადგილი მყარად დაიმკვიდრა ვარსკვლავებით სავსე ტოპ 14-ში (9 მატჩი, აქედან 6 სასტარტოში) და ეს მხოლოდ 20 წლის ასაკში, ბურჯის ურთულეს პოზიციაზე.

ლორენ ტრავერი, რასინგის შერკინების მწვრთნელი:

– რასინგ 92-ში ის პირველივე ნახვით შეუყვარდათ... ეს ის მორაგბეა, რომელზე აქტიური დაკვირვებაც 20-წლამდელთა მსოფლიო პირველობის დროს დავიწყეთ. გურამთან კონტრაქტი სწორედ ამ ტურნირის მიმდინარეობისას გაფორმდა, ყველაზე დიდი სამუშაო კი მისივე სამშობლოში შევასრულეთ, სადაც რასინგმა წინასასეზონო შეკრება გაიარა (ზაფხულის თასი 2018). ამან გოგიჩაშვილზე ძალიან კარგად იმოქმედა. მშობლიურ კედლებში მყოფმა ადაპტაცია სწრაფად გაიარა და გუნდთან მორგება არ გასჭირვებია.

გურამის უსწრაფესი პროგრესი მით უფრო გასაკვირია იმ ფონზე, რომ ის მხოლოდ ქართულ ენაზე საუბრობს. ამჟამად გურამს კონტაქტი მხოლოდ თანამემამულე ვასილ კაკოვინთან შეუძლია, თუმცა, ეს ხელს არ უშლის თანაგუნდელეთან ერთად ჰარმონიულად იმოქმედოს და მოედანზე ერთ-ერთი შესამჩნევი ფიგურა იყოს როგორც დაცვაში, ასევე ბურთით ხელში შეტევაში.

დმიტრი შარჟევსკი, რასინგის კაპიტანი:

– გარდა იმისა, რომ თავის საქმეში, სტატიკაში უძლიერესია, ბურთსაც შესანიშნავად ფლობს. თამაშის წაკითხვა კარგად ეხერხება და ძალიან აქტიურია, განსაკუთრებით დაცვაში თამაშისას.

ნოემბერში გოგიჩაშვილმა სამოასთან მოგებულ (27:19) მატჩში პირველად ითამაშა საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში, თანაც იმ პოზიციაზე, რომელზეც ამ ქვეყანაში ყველაზე დიდი კონკურენციაა.

იანიკ ნიანგა, რასინგის სპორტული დირექტორი:

– ვხედავთ, რომ გოგიჩაშვილს მსოფლიო დონეზე უდიდესი პოტენციალი აქვს. როდესაც ვხედავთ რისი კეთება შეუძლია 20 წლის ასაკში... გურამი რომ ახალზელანდიელი იყოს, მასზე ალბათ კიდევ უფრო ბევრს ისაუბრებდნენ. გოგიჩაშვილი ძალიან მაგრად ვითარდება და მტკიცედ შემიძლია განვაცხადო: თუკი ის გადაწყვეტს, რომ მსოფლიოს საუკეთესო ბურჯი იყოს, ეს ასეც იქნება.

რასინგ 92 ჩემპიონთა თასზე ლესტერს ეთამაშება და გოგიჩაშვილს საკუთარი უზარმაზარი ნიჭის წარმოჩენის შესაძლებლობა კიდევ ერთხელ ექნება.

ფრანს ფუტბოლის გამოკითხვაში არარსებული ჟურნალისტი მონაწილეობდა

„ოქროს ბურთის“ წლევანდელ გამოკითხვას სკანდალების გარეშე არ ჩაუვლია. როგორც ირკვევა, ხმის მიცემაში მონაწილეობდა არარსებული ჟურნალისტი, ხოლო მედია საშუალება, რომელსაც ის წარმოადგენდა, 6 წლის წინ დაიხურა.

საერთოდ, „ფრანს ფუტბოლი“ წლის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად სპორტულ ჟურნალისტებს შორის გამოკითხვას სხვადასხვა ქვეყანაში ატარებს. მათ შორის საქართველოშიც, სადაც ჯერ გაზეთი სარბიელი, ახლა კი ვებგვერდი სარბიელი მონაწილეობს.

როგორც იცით, წელს გამარჯვება მადრიდის რეალისა და ხორვატიის ნაკრების ნახევარმცველმა ლუკა მოდრიჩს დარჩა. თუმცა, უფრო საინტერესო ის არის, რომ კომორის კუნძულების წარმომადგენელი ჟურნალისტი აბდუ ბოინა, რომელმაც ხმა პარი სენ-ჟერმენისა და საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელ კილიან მბაპეს მისცა, სინამდვილეში არ არსებობს.

სტეფან აჰამადი, კომორის კუნძულების ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი:

– აბდუ ბოინაზე არავითარი ჩანაწერი არ არსებობს. ფრანგული გამოცემის შეცდომა ჩემთვის კიდევ გასაგები იქნებოდა, ეს ჟურნალისტი მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების წარმომადგენელი რომ ყოფილიყო, მაგრამ ასეთი ადამიანი საერთოდ არ არსებობს.

ბოინას ამბავი ერთადერთი საეჭვო ფაქტი არ არის, რომელიც 2018 წლის „ოქროს ბურთს“ უკავშირდება. ტრინიდადელი ჟურნალისტი გოგონა ლასანა ლიბურდი აცხადებს, რომ ორგანიზატორებმა მისი ხმები არასწორად გაითვალისწინეს. გოგონა ამტკიცებს, რომ ხმის მიცემისას პირველი ადგილი ლიონელ მესის მიაკუთვნა, ანტუან გრიზმანს კი – მე-5. თუმცა, ფრანს ფუტბოლის ცხრილში მისი არჩევანი პირიქით არის.

ერთია, ამ 2 ფაქტს არ შეეძლო, გავლენა მოეხდინა მოდრიჩის ხმებზე, მაგრამ დარღვევები სახეზეა.

მოამზადა მანუელ ჟორჟოლიანმა

სუდოკუ

				1	2			
3								
				4	5			
6				7			8	
				9	10	11		
12						13		
14							15	
16					17			
	18						19	
	20							
			21	22	23		24	25	26
						27		
		28						
			29					
30								
31		32	33				34	

1. სასვენი ნიშანი; 2. ჩვენებითი ნაწილაკი; 3. ვაზების მწკრივი ვენახში; 4. სასროლეთი; 5. ვივიენ ...; 6. მარტი (ძველქართულად); 7. ქართული გაზეთი; 8. სანელებელი; 9. ... გაფრინდაშვილი; 10. სასიმინდე; 11. „ქალაქი ...; 12. ... კრუზი; 13. შლამის თევზი; 14. რომის პაპის გვირგვინი; 15. მეხუთე ნოტი; 16. ... ჩიბურდანიძე; 17. გარეული ხარი; 18. ბატკანი ერთ წლამდე; 19. იუპიტერის თანამგზავრი; 20. თავზე თმაგაცვენილი ადამიანი; 21. სოფელი რაჭაში; 22. აღლუმი; 23. მთიანეთი აზიაში; 24. ვაზის წყვილმტევნიანი რქა; 25. ამონი ანუ...; 26. სატურნის თანამგზავრი; 27. ჩანთოსანი დათვი; 28. იმამის ხელისუფლება; 29. ქალაქი ჩეხეთში; 30. „...-პარი“; 31. სია, აღწერა; 32. სესილია თაყაიშვილის კინოროლი; 33. ზრდილობიანი მიმართვა იაპონიაში; 34. ბალახოვანი მცენარე.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პუნსონი; 2. შუკა; 3. განდი; 4. იზმირი; 6. ხამანწკა; 9. საბენა; 13. დოლმენი; 14. ფლუგერი; 15. ნეპერი; 17. პემზა; 18. სქური; 20. წათე.

თარაზულად: 1. პაშტეტი; 5. ფაცხა; 7. მალხაზი; 8. ნეკრესი; 10. ტოლმა; 11. დონგი; 12. კაბელი; 16. კლიჩკო; 17. პრესა; 19. ლარი; 21. მეტეხი; 22. მზიური; 23. ვინიცა; 24. ჰიმენე.

კროსვორდი ბ

შვეულად: 2. ორაკული; 3. აპატრიდი; 4. ობივატელი; 5. ლანჩი; 6. ერზაცი; 8. ბრინზა; 11. გუდრუნი; 14. ონომასტიკა; 15. ბირთვისი; 16. ალტერაცია; 17. ფაგოტი; 19. ოსტერია; 21. კილტი; 22. შტაბი.

თარაზულად: 1. ბოტაფოგო; 5. ლილე; 7. გაბენი; 9. მაჭავარიანი; 10. ზუგდიდი; 12. აციდოზი; 13. გრეგორი; 16. ამნერისი; 17. ფითი; 18. ბონზა; 20. სკალპელი; 22. შპიგი; 23. რეესტრი; 24. ცხვარი; 25. ტანკი.

ჯალეიდოსკოპი

პაციენტი აიძულეს, ფული პირდაპირ ოპერაციის დროს გადაეხადა

ჩინეთში ქირურგმა პაციენტი აიძულა, რომ თანხა პირდაპირ ოპერაციის დროს გადაეხადა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ოპერაციის გაგრძელებაზე უარს აცხადებდა.

ინციდენტი განსუს პროვინციის ქალაქ ლანჩოუში მოხდა. პაციენტმა

გვარად იაომ, რომელიც იუნანის პროვინციიდან იყო ჩამოსული, ექიმს მიმართა და კონსულტაციაში 538 იუანი გადაუხადა. ექიმმა იაო ოპერაციაზე გააგზავნა, მაგრამ შუა ოპერაციის დროს მას 15,3 ათასი იუანის გადახდა მოსთხოვა. ქირურგმა იაოს განუცხადა, რომ მას ლიმფური კვანძების ანთება ჰქონდა, ხოლო დაზიანებულ ნერვებს მკურნალობა სჭირდებოდა და თუ ამას ახლა არ გააკეთებდა, მომავალში პრობლემები შეექმნებოდა.

იაო ძალიან შეშინდა, ამავე დროს ადგილობრივი ანესთეზიის გამო ფაქტიურად ძილბურანში იმყოფებოდა და კამათის თავი არ ჰქონდა. მას ჭრილობა შეუხვიეს და ქვედა სართულზე მდებარე სალაროში გაუშვეს.

ამის შემდეგ იაომ საჩივარი დაწერა ლანჩოუს ხელისუფლების სახელზე. მან ასევე კონსულტაცია გაიარა სხვა ექიმებთან და გაარკვია, რომ მისი ოპერაცია საშუალოდ 1500 იუანი ღირდა.

საავადმყოფოს ხელმძღვანელობამ იაოსთვის კომპენსაციის სახით 41450 იუანის გადახდაზე თანხმობა განაცხადა.

ბიჭი დედოფლის წინ მუხლებზე დაემხო და ჩუმად გახოხდა

დიდ ბრიტანეთში პატარა ბიჭი ისე მოიხიბლა დედოფალ ელისაბედ II-ის ხილვით, რომ მუხლებზე დაემხო და ფეხზე წამოუდგომლად გახოხდა. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ელისაბედ II ლონდონში მდებარე ქვეყანაში უძველეს ტომას კორამის საქველმოქმედო ცენტრს ბავშვებისთვის განკუთვნილი ცენტრის გახსნაზე ეწვია. ადგილზე მისულს აღსაზრდელთა სახლის ცოცხლად დარჩენილთაგან უხუცესი 102 წლის ედვარდ ნიუტონი შეეგება. დაწესებულება კორამმა დააარსა და ის 1926 წელს დაანგრიეს. სწორედ მის ადგილზე გაიხსნა ახალი დაწესებულება.

შემდეგ მომღერლებმა და ტელეწამყვანებმა დევიდ და კერი გრანტებმა დედოფალს თავიანთი ცხრა წლის შვილობილი ნეითანი წარუდგინეს. მან ისე დაიმორცხვა, რომ ოთხზე დადგა, ასე მუხლებზე მდგომი გახოხდა მეზობელ ოთახში და იქიდან დაიძახა: „კარგად!“ ბავშვის ასეთმა რეაქციამ იქ მყოფები საკმაოდ გაამხიარულა.

ექვსმა მეთევზემ რვამეტრიანი პითონის დამარცხება შეძლო

ინდონეზიის პადანგ-პარიამანის ოლქში მეთევზემ შემთხვევით ფეხი უზარმაზარ პითონს დააბიჯა და იძულებული გახდა, ქვეწარმავალს შებრძოლებოდა.

მეთევზე ტან გალუანი თანასოფლელებთან ერთად მდინარეზე სათევზაოდ გაემართა და გზაში შემთხვევით რვამეტრიან პითონს დააბიჯა, რომელიც მორი ეგონა. გველი მაშინვე მის ერთ-ერთ თანამგზავრს ფეხზე შემოეხვია და თანასოფლელები იძულებული გახდნენ, მიშველებოდნენ.

– ექვსი მამაკაცი გახდა საჭირო პითონთან გასამკლავებლად, – განაცხადა გალუანმა. 100-კილოგრამიან ქვეწარმავალთან ბრძოლა რამდენიმე წუთს გაგრძელდა.

– ჩვენ თევზის დასაჭერად წავედით, მაგრამ ჩვენი მთავარი პრიზი გველი აღმოჩნდა. ჩემი რელიგია გველის ჭამას მიკრძალავს, ამიტომ მისგან კერძს ვერ დავამზადებ, – განაცხადა მეთევზემ.

საბოლოოდ მეთევზეებმა პითონი სოფელში მიიტანეს და გალიაში მოათავსეს. გველმა იქ რამდენიმე დღე გაატარა, სანამ მის წასაყვანად ბუნების დაცვის წარმომადგენლები არ მივიდნენ. მათ რეპტილია სოფლიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით ტყეში გაუშვეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი 10 დეკემბრისათვის

ვერძი – თვითკონტროლს ნუ დაკარგავთ. სითამამე წარმატებას მოგიტანთ. **კურო** – საიდუმლო არავის გაანდოთ. ერიდეთ ფუჭ საუბრებს. **ტყუპები** – კოლექტიური საქმიანობა გაამართლებს. საღამო საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ. **კირჩხიბი** – შემოქმედებითად დატვირთული დღეა. ნუ იქნებით ზედაპირული. **ლომი** – სიტუაციის არაადეკვატური შეფასება მატერიალურად დაგაზარალებთ. პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები გელით. **ქალწული** – კეთილისმყოფელი დღეა სულიერი სრულყოფისათვის. სიტუაციას ნუ დაძაბავთ. **სასწორი** – სხვის აზრს ნუ გაითვალისწინებთ. გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღეთ. **ღრიანკალი** – სამოგზაუროდ წასასვლელად შესაფერისი დღეა. საკუთარ პრინციპებს ნუ უღალატებთ. **მშვილდოსანი** – ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობებს. ავანტიურაში არ ჩაერთოთ. **თხის რქა** – მატერიალური მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება. იყავით დამთმობი. **მერწყული** – გარშემომყოფებთან ურთიერთობაში გაუცხოებას გრძნობთ. მოთმინება დღის დევიზია. **თევზები** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისათვის მეგობრებს მიმართეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ნინი შერმადინმა გადაცემაში „ხარ თუ არა მეექვსეკლასელზე ჭკვიანი“ 3.000 ლარი მოიგო

მომღერალმა ნინი შერმადინმა საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემაში „ხარ თუ არა მეექვსეკლასელზე ჭკვიანი“ 3.000 ლარი მოიგო:

– უღრმესი მადლობა ტელეკომპანია პირველ არხსა და გადაცემას „ხარ თუ არა მეექვსეკლასელზე ჭკვიანი“ ასეთი დიდი სიხარულისა და იმ შანსისთვის, რომ დავეხმაროთ იმ ადამიანებს, რომლებსაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ.

მაშ ასე, მოვიგე 3.000 ლარი და ეს თანხა მოხმარდება სვანეთში სალომე ნაკანს, რომელსაც უნდა გიტარა და 4 წლის ელენე ნუცუბიძეს, რომელსაც ყველაზე მეტად თოჯინა და ნამცხვარი უნდოდა. დიდი მადლობა მთელ შემოქმედებით ჯგუფს. მიყვარხართ და დიდი მადლობა ჩემი და ამ ბავშვების ასე გახარებისთვის.

ნუცა ბუზალაძე „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ ერთი დღით ბრუნდება

მომღერალი ნუცა ბუზალაძე „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ ბრუნდება. ნუცა პროექტის მეხუთე სეზონში მონაწილეობდა და მისი მეწყვილე რატი გაჩეჩილაძე იყო, თუმცა ტრავმის გამო მომღერალს შოუს დატოვება მოუხდა.

ახლა კი ნუცა შოუში მხოლოდ ერთი დღით ბრუნდება და რუსკა ქარქაშაძესა და იაკობ ყუფუნიასთან ერთად იცეკვებს.

ნუცა ბუზალაძე:

– მხოლოდ ერთი დღით „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ახალ სეზონში ვბრუნდები.

ორშაბათს განსაკუთრებულ ნომერს შემოგთავაზებთ რუსკა ქარქაშაძესთან და იაკობ ყუფუნიასთან ერთად.

გიორგი კეკელიძე საქართველოს პრეზიდენტმა დააჯილდოვა

ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, მწერალი და პოეტი გიორგი კეკელიძე საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა დააჯილდოვა.

საქართველოს პრეზიდენტმა საგანგებო მიღებაზე გიორგი კეკელიძეს საჩუქრად საფრანგეთში ფრანგულად გამოცემული 1921 წლის კონსტიტუცია გადასცა. კონსტიტუცია ემიგრაციის დარბაზში დაიდებს ბინას. სოფლის ბიბლიოთეკების ინტერნეტიზაციის პროექტის ხელმძღვანელ რუსუდან ასათიანს კი პრეზიდენტმა ღირსების ორდენი გადასცა.

თამაზ ტყემალაძე პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში ფიროსმანის მუზეუმის გახსნის მომხრეა



მას შემდეგ, რაც საქართველოს არჩეულმა პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ არ აპირებს ავლაბრის რეზიდენციაში მუშაობას, საზოგადოებაში შენობასთან დაკავშირებით უამრავი აზრი გაჩნდა.

საზოგადოების ნაწილს ამ შენობაში რუსთაველის მუზეუმის განთავსება სურს, ნაწილს – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის.

ლიტერატორი თამაზ ტყემალაძე გამოდის ინიციატივით, ავლაბრის რეზიდენციაში ფიროსმანის მუზეუმი განთავსდეს:

– ავლაბრის ყოფილ სასახლეში, კარგი იქნება, თუ განთავსდება ფიროსმანის მუზეუმი.

დემნა გვასალია: „მთელი ცხოვრება სამიზნე ვარ“

დემნა გვასალიას შექმნილი სამოსი მსოფლიოში ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამის დასტურია ის მონაცემები, რომლებსაც უცხოური გამოცემები აქვეყნებენ. 120 ქვეყნიდან 80 მილიონი მყიდველი და 5 მილიონი პროდუქტი 12000 ბრენდიდან, მაღაზიიდან, ანუ რა ეცვა მსოფლიოს 2018 წელს. საერთაშორისო ბესტსელერი პროდუქტებისა და ინტერნეტსივრცეში ყველაზე ხშირად ძებნადი ფეხსაცმელების პირველი ადგილი დემნას ბოტასებს უჭირავს.

არც ის არის ახალი ამბავი, რომ ქართველი დიზაინერი მაისურებს წარწერით „საქართველო“ 460 დოლარად ყიდის, არც მისი ბრენდის თმის სამაგრებია იაფი და არც ოთახის „ჩუსტები“.

დემნა ჟურნალისტების ერთ-ერთი საყვარელი რესპონდენტია. ქართველი დიზაინერი საუბრობს ყველა თემაზე, რაც მისთვის მისაღებია:

– რატომ გეცვა მაისური, რომელზეც სამიზნეა?

– მთელი ცხოვრება სამიზნე ვარ. ყოველთვის და ყველგან მებრძოდნენ, მთელი ცხოვრება. ერთხელ მესროლეს კიდეც.

– როდის და სად მოხდა ეს?

– თბილისში, ადრე, როცა იქ ვცხოვრობდი.

– დი-ეიჩ-ელის ყვითელმა მაისურმა რატომ გამოიწვია ასეთი ხმაური?

– ჩემთვის საკმაოდ სახალისო და საინტერესო იყო იმის ხილვა, თუ რამხელა ხმაური გამოიწვია ამ ერთმა ყვითელმა მაისურმა და როგორი პოპულარული გახდა. გაოცებული ვიყავი, სადაც არ უნდა წავსულიყავი, ყველა ჟურნალისტი მეკითხებოდა: „რატომ გააკეთეთ? ამით რას აცხადებთ? რისი თქმა გინდათ?“ დაბომბილი ვიყავი ამ მაისურის შესახებ დასმული კითხვებით. სინამდვილეში ისტორია ამ მაისურის მიღმა არც ისეთი ღრმაა. ერთადერთი მიზეზი, რატომაც გავაკეთე, ისაა, რომ ყოველდღე, როცა სამსახურში მივდიოდი, ჩემი თანამშრომლები წუწუნებდნენ: „დი-ეიჩ-ელი გაგვაკოტრებს, რამდენს ვხარჯავთ, ძალიან ძვირია!“ დღე არ გავიდოდა, რომ დი-ეიჩ-ელზე რამე არ ეთქვათ, ამიტომ დავიღალე და გადავწყვიტე, დი-ეჩი-ელის მაისური გამომეშვა. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ დი-ეიჩ-ელი მოდის ნაწილი გახდებოდა. მიტანის სერვისის ლოგო, კურიერის ზოგიერთი ადამიანისთვის მოდური განაცხადი გახდებოდა და მთლიანად გაიყიდებოდა.

– უნისექსის სამოსზე რას ფიქრობ?

– რაღაცები შეიძლება იყოს უნისექსი, მაგალითად, მაისური, მაგრამ ყველაფერი უნისექსი ვერ იქნება. როგორი სუსტიც არ უნდა იყოს კაცი, ან როგორი ძლიერი ქალი, ქალს და კაცს განსხვავებული აღნაგობა აქვს და ვერ შეკერავ ჯინსს, რომელიც ორივეს ტანზე ერთნაირად კარგად დადგება. ჩვენ გვყავს გამხდარი ბიჭები, რომლებიც იცვამენ შარვლებს, რომლებსაც მე ვერ ვირგებ, რადგან მოდელის პარამეტრები არ მაქვს, თუმცა ქალის ჯინსში კარგად ვერც ჩვენი გამხდარი ბიჭები ჩანან. ასეთია ბუნება, რომელსაც ვერ შეეწინააღმდეგები. პროდუქტების ნაწილს აქვს სქესი. რაღაცები არის ქალის და რაღაცები – კაცის.

– რას არ იცვამს დემნა გვასალია?

– კაბას, არ ვგრძნობ თავს კომფორტულად.

– თავად ვის სამოსს ატარებ?

– ვინტაჟი მიყვარს. არა მგონია, იმდენად ვგიჟდებოდე მოდაზე, რომ წავიდე და ტანსაცმელში დიდი ფული გადავიხადო. შემიძლია, ერთი მოდელით 6 თვე ვიარო.

– როგორია დემნა გვასალიას მოდური ჯოჯოხეთი?

– ჩამაცვით კოსტიუმი. კოსტიუმში თავი სულელი მგონია. გამპარსეთ წვერი, მომარგეთ გაპრიალებული ფეხსაცმელები და მაშინ მე ვიქნები ჩემს მოდურ ჯოჯოხეთში.

– ხალხის აზრს აქცევ ყურადღებას, როცა ტანსაცმელს არჩევ?

– ნაკლებად, ადრე უფრო მაინტერესებდა, რას ფიქრობდა ხალხი. ერთადერთი ადამიანი, რომელსაც შეუძლია, გავლენა იქონიოს ჩემს ჩაცმულობაზე, ჩემი მეორე ნახევარია. დღეს დილითაც სხვა რაღაცას ვიცვამდი და გადამაფიქრებინა.

– რატომ გაცვია მონოპრიქსის ზედა?

– მიყვარს ორაზროვნება. როცა სუპერმარკეტის ფორმა მაცვია, რა სიგნალს ვიძლევი? ვამბობ, რომ მაგარია, როცა სუპერმარკეტში მუშაობ, თუ ხალხს ვაძლევ სალაპარაკოს, რატომ მაცვია მონოპრიქსის ზედა, როცა შემიძლია, ბალენსიაგა მეცვას? ქუჩაში უცხოს შესაძლოა მონოპრიქსის მოლარე ვეგონო.

– შენი აშკარა სიმპათია უნიფორმების მიმართ სექსუალური ფანტაზიებიდან გამომდინარეობს?

– არა.

– ვეტმანი სექსუალურია?

– ჩემთვის კი, მაგრამ ალბათ სხვების გადმოსახედიდან – არა.

– ტანსაცმლის რომელი დეტალი ხდის მამაკაცს სექსუალურს?

– კეპი.

სოფო ბათილაშვილი „მხოლოდ ქართულის“ მონაწილეებს 10 რჩევას აძლევს

მუსიკალური გადაცემის „მხოლოდ ქართულის“ პირველი სეზონის გამარჯვებული სოფო ბათილაშვილი მეორე სეზონის მონაწილეებს 10 უმთავრეს რჩევას აძლევს. სოფოს მტკიცებით, ეს რჩევები მათ ყველაზე მეტად გამოადგებათ.

სოფო ბათილაშვილი:

– ადექით ადრე, მოწესრიგდით, არ დაიგვიანოთ, რადგან დაისჯებით ადმინისტრაციის მიერ, განსაკუთრებით თიკოს ერიდეთ.

დილით დალიეთ ყავა, სასურველია, იყოს არც ცივი, არც ცხელი, არამედ ნელ-თბილი, რათა ხმის იოგებს გაუფრთხილდეთ. სასურველია ასევე მიირთვათ მხოლოდ ქართულის ჭიქით, უფრო შეგერგებათ, უფრო გამოგაფხიზლებთ, უფრო კარგი ენერგიით დაგმუხტავთ.

კონცერტამდე მოდუნდით და გონებასთან ერთად სხეულიც დაასვენეთ. შეგიძლიათ წამოიპლაკოთ, როგორც გაგიხარდებათ.

კონცერტის დროს აუცილებელია მაქსიმალური კონცენტრაცია. დაივიწყეთ, რომ ძალიან ბევრი ადამიანი გიყურებთ და გაფასებთ. უნდა დარჩეთ მხოლოდ თქვენ და მუსიკა.

შეიგრძენით ინსტრუმენტის ჟღერადობა ბოლომდე.

არასოდეს შეიზღუდოთ თავი ემოციების გამოხატვისგან და არასოდეს იფიქროთ, რომ ესა თუ ის მიმიკა არ გიხდებათ.

ეცადეთ, კონცერტამდე ხმა არ გადაღალოთ.

გახსოვდეთ, რომ თბილად უნდა ჩაიცვათ, გაციება ნამდვილად არ გაწყობთ და თუ მაინც მოახერხეთ გაციება და ყელი გტკივათ, გახსოვდეთ, რომ თაფლიანი ჩაი არის უებარი წამალი.

გახსოვდეთ, რომ ნერვიულობა თქვენი ნომერ პირველი მტერია.

მიიღეთ მონაწილეობა, მიიღეთ სიამოვნება, გაიცანით ერთმანეთი, იყავით ჯიგრულად, ბედნიერად და სიამტკბილობით.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალეიდოსკოპი

მონაზვნებმა კაზინოში სხვისი ფული წააგეს

აშშ-ში ორმა მონაზონმა კათოლიკური სკოლიდან ნახევარი მილიონი დოლარი მოიპარა, ფული კაზინოში გაანიავა და გასამართლებას გადაურჩა.

ნოემბრის ბოლოს წმინდა იაკობის კათოლიკური სკოლის ხელმძღვანელობამ, რომელიც კალიფორნიის შტატის ქალაქ ტორანსში მდებარეობს, გამოაცხადა, რომ სასწავლო დაწესებულების ორმა თანამშრომელმა მოიპარა და პირადი საჭიროებისთვის გამოიყენა სკოლის მნიშვნელოვანი თანხა. ისინი აღმოჩნდნენ სკოლის ყოფილი დირექტორი, და მარგარეტ კრეპერი და მასწავლებელი, და ლანა ჩანგი. მოსწავლეების მშობლების თქმით, მათ მათთვის არაერთხელ უთქვამთ, რომ სკოლას დაფინანსება არ ჰყოფნიდა.

ფულის გაფლანგვის შესახებ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ეკლესიის ხელმძღვანელობამ კრეპერის 28-წლიანი მუშაობის შემდეგ პენსიაზე გასვლის წინ სკოლის ხარჯების აუდიტის ჩატარება გადაწყვიტა. ქალი შემოწმების გამო ძალიან ღელავდა და ხელქვეითებს სთხოვდა, ფინანსური აღრიცხვიანობა „გაესწორებინათ“. აუდიტმა საბუთებში უზუსტობები შენიშნა და დახმარებისთვის დამოუკიდებელ ფინანსების ექსპერტს მიმართა. მან აღმოაჩინა თითქოსდა „დიდი ხნის“ დავიწყებული ანგარიში, რომელსაც ქალები აწარმოებდნენ.

შემოწმების შედეგად კრეპერმა აღიარა, რომ ისინი მართლაც იპარავდნენ ფულს და მას, სხვადასხვა პირადი საჭიროების გარდა, კაზინოში ხარჯავდნენ. ამ ყოველივეს მიუხედავად, არქიეპარქიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ქალების წინააღმდეგ ბრალდების წარდგენას არ აპირებენ და მათ „მკაცრად თავადვე დასჯიან“. ისინი უკვე გაამწესეს სხვადასხვა მონასტერში. ასეთი გადაწყვეტილება იმის გამო იქნა მიღებული, რომ დების წმინდა იაკობის ორდენმა მათ მიერ მოპარული თანხის ანაზღაურებაზე თანხმობა განაცხადა.

ამ გადაწყვეტილებამ მოსწავლეების მშობლები არ დააკმაყოფილა და ისინი პროკურატურაში მონაზვნების წინააღმდეგ სარჩელის შეტანას აპირებენ.

ჩინელმა გოგონამ ჭიქის ენით დაჭერა ისწავლა

ჩინეთის ლიაონინის პროვინციის ქალაქ შენიანის მცხოვრებმა წარმოადგინა ის ილეთები, რომლის გაკეთებას ენით ახერხებს. მის მიერვე გადაღებულმა ვიდეორგოლებმა მასმედიის ყურადღება მიიპყრო.

პირველ ვიდეოში გოგონა, სახელად ტუ ტუ, გამოყოფილი ენით მოზრდილ ჭიქას იჭერს, რომელიც ბოლომდე წყლით არის სავსე. შემდეგ ის იმავე ილეთს „კოკა-კოლითა“ და ფორთოხლის წვენით სავსე ჭიქებით ასრულებს. ბოლო ვიდეორგოლში მან ენით საკუთარ ცხვირამდე მიწვდენა და მისი აღოკვა შეძლო.

აღსანიშნავია, რომ გინესის რეკორდების წიგნის მიხედვით მსოფლიოში ყველაზე გრძელი ენა ამერიკელ ნიკ სტოულბერლის აქვს, რომლის სიგრძე 10,1 სანტიმეტრია, ქალებს შორის კი რეკორდულად შანელ ტაპერის 9,75-სანტიმეტრიანი ენა ითვლება.

ქალებისთვის პირველი ჭკვიანი სექსრობოტი შექმნეს



კომპანია Realbotix-მა წარმოებისთვის გაამზადა მამაკაცის გარეგნობის მქონე პირველი სექსრობოტები.

საფლაგმანო მოდელს ჰენრი ჰქვია. მისი შემქმნელები ამტკიცებენ, რომ რობოტს საუბარში აყოლა და ხუმრობა შეუძლია. მყიდველს შეეძლება, მისი გარეგნობა საკუთარი გემოვნებით შეცვალოს, მათ შორის სილიკონის პენისის სიგრძეც, რომელიც 28 სანტიმეტრს აღწევს. ჰენრის გარდა, არსებობს კიდევ სამი მოდელი: მაიკლი, მიკი და ნეიტი.

– ჩვენ იმაზე მეტი შეკვეთა მივიღეთ იმ ქალებისგან, რომლებსაც პარტნიორი სჭირდებათ არა სექსისთვის, არამედ კომპანიონად, ვიდრე ვიფიქრებდით, – ამტკიცებს კომპანიის დამფუძნებელი მეთ მაკმალენი.

მისი თქმით, ჰენრის შეუძლია, მოისმინოს და დაიმახსოვროს ყველაფერი, რასაც მას ეუბნებიან, თუმცა არავის უნდა ჰქონდეს იმის ილუზია, რომ ის ნაგავს გაიტანს ან ნიჟარას შეაკეთებს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სექსრობოტის ფასი 10 ათას დოლარს შეადგენს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

10 დეკემბრისთვის

აშშ დოლარი — 2.6682	ევრო — 3.0324
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4009	100 რუსული რუბლი — 3.9852

ამინდის პროგნოზი 10 დეკემბრისთვის



დედა და შვილი სილამაზის დედოფლები ერთდროულად გახდნენ

ამერიკის შტატ სამხრეთ დაკოტაში საერთაშორისო კონკურსზე დედა და შვილი ერთდროულად აღიარეს სილამაზის დედოფლებად.

ოთხი შვილის დედა თინა უილსონი რამდენიმე წელი დაატარებდა თავის უმცროს გოგონა მორგანს სილამაზის კონკურსებზე, სანამ თავადაც არ მიიღო პოდიუმზე გამოსვლის გადაწყვეტილება. 56 წლის ქალმა მეორე მცდელობაზე დაიმსახურა გამარჯვებულის გვირგვინი და ტიტული „მისის სამხრეთ დაკოტა“.

ამავე კონკურსზე 19 წლის მორგანმა „მის სამხრეთ დაკოტას“ ტიტული მიიღო, თუმცა გოგონამ აღიარა, რომ დედის წარმატება უფრო მეტად გაუხარდა, ვიდრე საკუთარი.

– ამ დღეს მე ყველაზე მეტად დედის ყურება მომწონდა. ის ისე ბედნიერად, თავდაჯერებულად და ლამაზად გამოიყურებოდა, – განაცხადა მორგანმა.

დაჯილდოების შემდეგ თინა ემოციებს ვერ იკავებდა და აღიარა, რომ ვერასოდეს იფიქრებდა, რომ სილამაზის დედოფალი გახდებოდა.

ძაღლმა ჯარისკაცები გადაარჩინა და თავად დაიღუპა

ძაღლი, სახელად მაიკო, რომელიც ავღანეთში ამერიკის არმიის შემადგენლობაში ირიცხებოდა, ორმხრივი სროლის დროს დაიღუპა.

ინციდენტი ნიმროზის პროვინციაში ნოემბრის ბოლოს მოხდა. შვიდი წლის მაიკო თავისი პატრონების გადარჩენას ცდილობდა. ის მტრის მიერ გახსნილ ცეცხლს გადაეფარა. ეს ჯარისკაცებს მოწინააღმდეგის მათი პოზიციებიდან გაყრაში დაეხმარა.

– მაიკოს საქციელმა მისი გამყოლის სერჟანტ ჯობასა და სხვა რეინჯერების სიცოცხლე იხსნა, – ნათქვამია გამოსამშვიდობებელ წერილში.

მაიკო ნიდერლანდებში 2011 წელს დაიბადა და აშშ-ში წლინახევრის ასაკში აღმოჩნდა. მას მრავალჯერ ჰქონდა მონაწილეობა მიღებული მოწინააღმდეგის მებრძოლებთან შეტაკებებში, ასევე შენობების განაღმვასა და ასაფეთქებელი მოწყობილობების აღმოჩენაში მონაწილეობდა.

ქალი იძულებული იყო, საკუთარი მკერდით მეუღლის გველი გამოეკვება

კენიელი ქალბატონი ამტკიცებს, რომ მისი ყოფილი ქმარი აიძულებდა, გველი საკუთარი მკერდით გამოეკვება. ქალმა საკუთარი ისტორია ადგილობრივი რადიოს ეთერში მოყვა.

მისი თქმით, მისთვის არაფერი იყო ცნობილი გველების შესახებ, რომლებიც მეუღლის ნათესავებს ჰყავდათ, სანამ არ გათხოვდა და მათთან არ გადავიდა საცხოვრებლად.

– როდესაც მათთან სახლში მიმიყვანეს, მითხრეს, რომ სტუმრებს დავლოდებოდი და არსად გავქცეულიყავი, როდესაც ისინი გამოჩნდებოდნენ, – ამბობს ქალი, – მე მშვიდად ვიჯექი და ვიცდიდი, არც კი ვინძრეოდი, ვინაიდან არ ვიცოდი, რომ სინამდვილეში სტუმრები სამი გველი უნდა ყოფილიყო.

მისი მტკიცებით, ოთახში შესრიალებული ერთ-ერთი გველი მისი მკერდიდან რძის დალევას ცდილობდა.

– სანამ ეს ყველაფერი ხდებოდა, ჩემს ბავშვს ვკვებავდი, – ამბობს ქალი, – სახლიდან თავის დაღწევა მაინც შევძელი.

გველებისგან თავის დაღწევა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. მეუღლის ნათესავები მას ავალდებულებდნენ, ქვეწარმავლებს უშაქრო ფაფით გამასპინძლებოდა.

საბოლოოდ საქმე განქორწინებით დასრულდა, თუმცა, ქალის თქმით, ამის მიზეზი გახდა არა გველები, არამედ მეუღლის უპასუხისმგებლობა. მას ბავშვზე ზრუნვა არ სურდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

პროზექტურის დირექტორი მოტოციკლების გამყიდველს ურეკავს და ეკითხება:

– დღეს რამდენი მოტოციკლი გაყიდე?

– ოთხი.

– ვაა, სამი უკვე აქაა და მეოთხე რა იქნა ნეტა?

●●●

პაციენტი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, კბილის ამოღება რამდენი დამიჯდება?

– 50 ლარი.

– და რამდენ ხანში?

– 10 წუთში.

– ვაა, რა ამბავია 10 წუთში 50 ლარი?

– მაშინ ჩემი თანაშემწე ამოგიღებთ 10 ლარად და ორი საათი მოუნდება.

●●●

მასწავლებელი მოსწავლეებს მიმართავს:

– ბავშვებო, ახლა მე თქვენ მოგიყვებით, თუ როგორ გაჩნდა პირველი ადამიანი...

– მასწავლებელო, აჯობებს ის მოგვიყვეთ, თუ როგორ გაჩნდა მესამე ადამიანი.

●●●

ბიჭი თანაკლასელ გოგონას ეუბნება:

– შეიძლება იმ გარემოებით ვისარგებლო, რომ შენ გოგონა ხარ?

– შენ რა ბილწი აზრები მოგდის თავში!

– ბილწი აზრები შენ მოგდის, ბურთი შემივარდა გოგოების ტუალეტში და მინდოდა გამოგეტანა...

●●●

მამა შვილს ეუბნება:

– შვილო, გინდა წითელქუდას ზღაპარს გიამბობ?

– არა მინდა.

– მაშინ სამი გოჭის?

– არც ეგ მინდა.

– წიქარას?

– არ მინდა!

– აბა რა გინდა?

– რა და დავიღალე, მეძინება და იქნებ თავი დამანებო!

●●●

დედა შვილს ეჩხუბება:

– ნამდვილი გოჭი ხარ, მთელი ტანსაცმელი ტალახით გაქვს მოსვრილი! იცი, ვინ არის გოჭი?

– ვიცი, დედიკო! ღორის შვილია...

●●●

მამა შვილს ეუბნება:

– შვილო, ძმა გინდა?

– მინდა!

– მაშინ დაიძინე!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

კანადელმა მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ გაბედა ენახა, თუ რა აჩუქა ყოფილმა შეყვარებულმა

კანადის პროვინცია ალბერტის ქალაქ ედმონტონის 65 წლის მცხოვრებმა, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნე ინახავდა ყოფილი შეყვარებულის, რომელმაც ის მიატოვა, საჩუქარს, მხოლოდ ახლა გაიგო, თუ რა იდო შიგნით.

48 წლის წინ ადრიან პირსი სკოლას ამთავრებდა. შობის წინ გოგონამ, რომელსაც ის მაშინ ხვდებოდა. მას საჩუქარი გადასცა და იქვე განუცხადა, რომ მასთან ურთიერთობის გაგრძელებას აღარ აპირებდა. მან საჩუქარი არ გახსნა და მას შემდეგ ის ყოველ ახალ წელს ნაძვის ხის ქვეშ დებდა. ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში, სანამ ეს ტრადიცია მეუღლის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ არ შეწყვიტა.

გასული წლის ბოლოს პირსსა და მის გაუხსნელ საჩუქარზე დაიწერა პრესაში. ერთ-ერთი ასეთი სტატია ნახა ვიკი ალენმა, სწორედ იმ გოგონამ, რომელმაც ის მრავალი წლის წინ მიატოვა. ფეისბუქში მიმოწერის შემდეგ პირსმა და მისმა მეუღლემ ალენი სტუმრად დაპატიჟეს.

შეხვედრა ადგილობრივ კაფეში შედგა. იქ შეკრებილი საზოგადოების წინ ალენი გამოვიდა და თავადვე გახსნა საკუთარი საჩუქარი. ამდენი წლის განმავლობაში მას თავადაც დავიწყებული ჰქონდა, თუ რა აჩუქა პირსს. ასე რომ, მისი შიგთავსი მისთვისაც სიურპრიზი აღმოჩნდა. კოლოფში იდო პატარა კრებული სიყვარულზე გამონათქვამით: „სიყვარული არის ახალი საშუალება სწორედ იმ გრძნობის დასაფარად“.

– ოჰ, არა! – წამოიყვირა ალენმა, – მე მისთვის ამის მიცემა არ შემიძლია!

შემდეგ ალენმა განმარტა, თუ რა მოხდა 48 წლის წინ. მისი თქმით, როდესაც ის მაღაზიებში დადიოდა პირსისთვის საჩუქარის შესარჩევად, მასთან მოულოდნელად მივიდა უცნობი ყმაწვილი და აკოცა.

– ამ ყველაფერს არანაირი მნიშვნელობა ექნებოდა, საპასუხოდ მეც რომ არ მეკოცნა, – განაცხადა ალენმა. ამის შემდეგ გადაწყვიტა მან, რომ პირსს დაუყოვნებლივ უნდა დაშორებოდა.

– ჩვენ უმწიკვლო ურთიერთობა გვქონდა, უფროს კლასებში ვსწავლობდით, – გაიხსენა ალენმა, – არ ვიცოდი, ის ამას თუ ასე განიცდიდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი



თარაზულად: 4. ყარყატების ოჯახის ფრინველი; 5. უმაღლესი პილოტაჟის ფიგურა; 6. მოჩუქურთმებული ქვა ან ნიჟარა; 7. კვირის ...; 8. ძლიერი განცდის გამოვლინება; 10. ჩრდილოეთის ქარი; 13. თუთიყუში; 15. ნახევარკუნძული ადრიატიკის ზღვაში; 16. პარაგვაის ჩაი; 17. სინემა; 20. ფრჩხილის ბუდის ანთება; 21. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 22. ბამბის გამჭვირვალე ქსოვილი; 23. რომაელების სამოსი ძველად.

შვეულად: 1. იატაკის საცხი; 2. წყლის საათი; 3. ვრცელი მიდამოს ხედი; 4. დაქირავებული პირი, რომელიც დამქირავებლის ნებას ასრულებს; 5. ჰომეროსის პოემა; 9. ერთი და იმავე გამოცემის საერთო რაოდენობა; 11. ერთი სახელმწიფო თავს ახვევს უსამართლო შეთანხმებას მეორე სახელმწიფოს; 12. აღლუმი; 14. წებო, რომელიც არ კრისტალდება; 18. ბერძნული ანბანის ასო; 19. ნახევრადძვირფასი ქვა.

შეადგინა ოლივერ კოხიამ